# სარბიელი

სპორტული გაზეთი  გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან  ოთხშაბათი, 5 აგვისტო 1998 №135 (670)  ფასი 40 თეთრი


# ბათუმი ტაიმნახევარში გაიშიფრა?

კაცმა ამხელა გზა გამოიარო, ბელგრადიდან ბათუმს ჩამოხვიდე და საქმემ, რომლისთვისაც თავი შეიწუხე, ბოლომდე არ დაგაინტერესოს, ცოტა არ იყოს, უცნაურია. არადა, თასების თასზე „ბათუმის" მეტოქის იუგოსლავური „პარტიზანის" მთავარ მწვრთნელს ლიუბიშა ტუმბაკოვიჩს და მის ორ თანამგზავრ კლუბის დირექტორატის წევრს სწორედ ასე მოუვიდათ. „ბათუმ" — „დინამოს" სუპერფინალს მათ მხოლოდ ტაიმნახევარს უცქირეს, მერე კი წამოდგნენ, თვითმფრინავზე მიგვეჩქარებაო, მოიმიზეზეს და სტადიონს გაეცალნენ. ვერ გეტყვით, ნებსით თუ უნებლიეთ, მაგრამ კი მოგვატყუა ლიუბიშამ. იუგთა ახალგაზრდა თავკაცი თამაშის შემდეგ შთაბეჭდილებას გაგიზიარებთო, დაგვპირდა, მაგრამ... კიდევ კარგი *ლიუბიშა ტუმბაკოვიჩი* მატჩის წინ არ დაგვზარდა და ცოტა გაგვესაუბრა, თანაც საკმაოდ გამართული რუსულით.



ლიუბიშა ტუმბაკოვიჩი „ბათუმს" ბოლომდე ვერ გაეცნო

— ჰო, დღეს (იგულისხმება 2 აგვისტო — ი.კ.) დილით ჩამოვედით. ვიცოდით, რომ თქვენთან სუპერთასის თამაში იმართებოდა. ძალიან ლამაზი ქალაქი ყოფილა ბათუმი. ხალხიც თბილად შეგვხვდა. სტადიონი კარგი გქონიათ, სათამაშო მინდორსაც არ დაეწუნება. ორგანიზაციული საკითხების მოგვარება უკვე მოვასწარით. ვიმედოვნებ, საპასუხო თამაშზე რომ ჩამოვალთ, პრობლემები არ გვექნება.

**— ქართულ ფეხბურთზე თუ გაქვთ წარმოდგენა?**

— თბილისის „დინამოზე" მსმენია, კარგი ტრადიციების გუნდია. სხვა ბევრი არაფერი.

**— უეფაზე „ცრვენა ზვეზდას" და ჩვენებური „კოლხეთის" თამაში ნახეთ?**

— მხოლოდ ბელგრადული მატჩის ვიდეოჩანაწერი.

**— და რას იტყვით?**

— თქვენი გუნდი ძალიან სუსტი იყო.

**— „ბათუმზე" რა ინფორმაციას ფლობთ?**

— დღევანდელ გუნდზე არაფერი ვიცით. ის კი გვახსოვს, სამი წლის წინ ბათუმელებმა „ობილიჩი" რომ დაგვიმარცხეს თასების თასზე. თქვენმა სუპერთასმა იმიტომ დაგვაინტერესა, რომ აქ ქვეყნის უძლიერესი გუნდები ხვდებიან. ბათუმელებს სხვა გზა არ აქვთ, თავი უნდა გვაჩვენონ.

**— თქვენს გუნდზე რას გვეტყვით?**

— ოო! „პარტიზანში" დიდი ცვლილებებია. ექვსი ფეხბურთელი წავიდა უცხოურ კლუბებში სათამაშოდ. ქვეყნის ნაკრების მეკარე ივიცა კრალი „პორტუში", ივან ტომიჩი — „რომაში", დრაჟენ ბოლიჩი — „სალერნიტანაში", დრაგან ისაილოვიჩი — „ვალიადოლიდში", იგორ ტაშევსკი — „ვილიარეალში", ვიკტორ ტრენევსკი — მექსიკაში. დანაკარგი აუნაზღაურებელია, მაგრამ რას იზამ? მათ ნაცვლად ახალგაზრდა მოთამაშეები მოვიყვანეთ, მეტწილად „პარტიზანის" საფეხბურთო სკოლიდან, აგრეთვე „ვარდარიდან", „პროლეტერიდან". წინა სეზონში ჩვენმა გუნდმა ქვეყნის თასი მოიპოვა, ჩემპიონატში კი მესამე ადგილზე გავიდა. უახლოეს დროში ამ შედეგის გამეორება გაგვირთულდება, თუმცა უიმედოდ მაინც არ ვრჩებით. მე ახალგაზრდებისა მჯერა. საქმეს უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებიან.

**— რამდენადაც ვიცი, იუგოსლავიის ჩემპიონატის პირველი ტური 8 აგვისტოსაა, ხუთ დღეში კი „ბათუმთან" მოგიწევთ თამაში. როგორ ემზადებით?**

— ახალი სეზონისთვის ავსტრიაში ვემზადეთ. თუ გაგიგონიათ პლანინა-ტარა. მაღალმთიანი საკურორტო ზონა. იქ საუკეთესო პირობები გვქონდა. ოთხი საკონტროლო მატჩიც ვითამაშეთ ავსტრიულ გუნდებთან. „ვიენას" 2:0 მოვუგეთ, „რიდს" 0:0 დავუზავდით, სხვა მეტოქეები შედარებით სუსტი გვყავდა და იოლად, დიდი ანგარიშით დავამარცხეთ.

**— ალბათ, ძირითადი შემადგენლობაც დაადგინეთ...**

— რა თქმა უნდა, ძირითადი გამოკვეთილია.

**— გუნდს როგორ ფეხბურთს ათამაშებთ?**

— „ვარდარში" და „პარტიზანში" თავდამსხმელად მითამაშია. შემტევი ფეხბურთის მომხრე გახლავართ.

ლიუბიშა ტუმბაკოვიჩთან კიდევ გვქონდა სალაპარაკო და შევთანხმდით კიდეც საუბრის გაგრძელებაზე. ეს უკვე მატჩისშემდგომი ინტერვიუ იქნებოდა, მაგრამ არ დაგვცალდა, როგორც ვიცით, იუგებმა ადრიანად დატოვეს ბათუმის სტადიონი. ეტყობა, მეტოქის თამაშის გასაშიფრად მათ ტაიმნახევარიც იკმარეს. კაცმა რომ თქვას, ძალიან კარგი. „ბათუმმა" სწორედ ბოლო 15-20 წუთში გვიჩვენა საუკეთესო თამაში.

იუზა ძაციტაძე

მსოფლიოს ჩემპიონატი კალათბურთში

| E ჯგუფი | F ჯგუფი |
|---|---|
| იუგოსლავია 70:56 საბერძნეთი | ესპანეთი 86:80 ლიტვა |
| იტალია 68:63 პუერტო რიკო | არგენტინა 86:76 ბრაზილია |
| რუსეთი 81:72 კანადა | აშშ 96:78 ავსტრალია |

# პატარა ლიტვა დიდი რუსეთი

4 აგვისტო

F ჯგუფი

**ესპანეთი 86:80 (75:75, 43:40) ლიტვა**

ესპანეთი: ერეროსი (27), რეიესი (19), ანგულო (9)

ლიტვა: იასიკევიჩუსი (10), შტომბერგასი (9)

მატჩმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ წლევანდელ ჩემპიონატს გამორჩეული ფავორიტი არ ჰყავს და რამდენიმე გუნდს თამამად შეუძლია, პირველობაზე განაცხადოს პრეტენზია. გუშინდლამდე ლიტველებიცა და ესპანელებიც ხუთი შესაძლებლობიდან ოთხ-ოთხი მოგებით F ჯგუფის ლიდერები იყვნენ. ამიტომ მათ შორის შეხვედრას უნდა გაერკვია, თუ ვინ დაიკავებდა უფრო მაღალ ადგილს და შესაბამისად, მეოთხედფინალში ვინ ირგუნებდა შედარებით სუსტ მეტოქეს.

გუნდები შეხვედრის დასაწყისში უჩვეულოდ ნერვიულობდნენ. თუმცა ბალტიისპირელებმა მალე მოახერხეს ძალების მოკრება და 9:2 წინ გაიჭრნენ. ამას ესპანელთა ცენტრის დუაინასის გამოცოცხლება მოჰყვა და ახლა უკვე მანუელს საინსის შეგირდები დაწინაურდნენ 11:10.

აქედან მოყოლებული თამაში ქულა-ქულაში მიმდინარეობდა. თუ რომელიმე მხარე გააზერხებდა ოთხი-ექვსი ქულით დაწინაურებას, ამ უპირატესობას ჩამორჩენილი უმალ აბათილებდა. მოკლედ, ასე გაგრძელდა პირველი ტაიმის დასარულამდე, რომელიც ესპანელებმა სამი ქულის სხვაობით მოიგეს 43:40.

მეორე ნახევარი ლიტველებმა რატომღაც ძალიან ცუდად დაიწყეს. მათ მეტოქეს საფუძვლიანი უპირატესობის მოპოვების საშუალება მისცეს და ესპანელებმაც გაილაღეს. ამ საღამოს 27 ქულის მომტანი ერეროსი, ქერათმიანი დე მიგელი თუ რეიესი მშვენივრად ირჯებოდნენ და სრულიად უპრობლემოდ ლაშქრავდნენ ბალტიისპირელთა კალათს.

თუ განვლილ მატჩებს თვალს გადავავლებთ, აღმოჩნდება, რომ ესპანელთა ასეთი კარგი თამაში მოულოდნელი სულაც არ არის. მათ ხომ პირველ ხუთ შეხვედრაში იმარჯვეს და ის მეხუთეც, მხოლოდ ბოლო წუთებზე დათმეს აშშ-ის ნაკრებთან.

თანაც ლიტველთა გასაჭირს ისიც მიემატა, რომ ერთ-ერთი შეტევის დროს მათმა ლიდერმა არტურას კარნიშოვასმა დე მიგელთან შეტაკებისას თავის მძიმე ტრავმა მიიღო და იძულებული შეიქნა, ცოტა ხნით დაესვენა.

ბალტიისპირელი დაზარალდა თუ არა, დარბაზში მყოფმა ტრადიციულად მცირერიცხოვანმა მაყურებელმა შეხვედრის ბედი თითქმის გადაწყვეტილად ჩათვალა. მათ ვერც გაამტყუნებდით. კარნიშოვისი ხომ ლიტვის ნაკრების ნამდვილი ლიდერია და უიმისოდ ფაქტობრივად წაგებული მატჩის შემობრუნება ძნელად თუ წარმოედგინა ვინმეს.

მაგრამ, რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, ლიტველებმა ამ ძნელ მომენტში ყველას აჩვენეს, რომ მართლაც შეკრული გუნდი ჰყავთ, რომელიც არანაირ სიძნელეებს არ უშინდება. 9 ქულის გამკეთებელი შტომბერგასი, მარულინასი და განსაკუთრებით დარიუს ლუკმინასი საუცხოოდ ათამაშდნენ. მეტიც, მათ იმდენი მოახერხეს, მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წამით ადრე 75:73-ც იგებდნენ, მაგრამ... მოედანზე დაბრუნებულმა კარნიშოვასმა უწყინარ სიტუაციაში ბურთი მეტოქეს გადააბარა და ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა — ოვერტაიმი!

აი, დამატებით ხუთ წუთში კი ლიტველებს ვერ იცნობდით. მოსაზრება, თითქოს მათ მეოთხედფიანლში უკეთესი მეტოქის დაბევების მიზნით შეგნებულად დათმეს ინიციატივა, აბსოლუტურად მცდარია. უბრალოდ, ესპანელებმა ბალტიისაპირელებს განძრევის საშუალება არ მისცეს, უმალ წინ გაიჭრნენ 79:75 და შეხვედრის ბოლომდე გამარჯვებულის ვინაობა საეჭვო აღარ გაუხდიათ.

იხილეთ მეშვიდე გვერდი




ესპანეთი—ლიტვა. ადომაიტისი და მისიანები ამაოდ დაშვრნენ. ესპანელები იმ დღეს უძლეველები იყვნენ

# საუკუნის პროცესი მრეტები — დინამო. ვინ ვის?

ქართული საფეხბურთო სამყაროს საუკუნის პროცესი, „დინამო" — „მრეტების" დავა, ისევ გრძელდება. თბილისის ვაკის რაიონის სასამართლომ მსაჯულ გაგუას თავკაცობით 1998 წლის 13 ივლისს განიხილა საქმე №2/1954 და ბათილად ცნო ფეხბურთის კლუბ „მრეტების", „დინამოსა" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის 1992 წლის 11 ივლისს დადებული კონტრაქტი ფეხბურთელ გიო ქინქლაძესთან დაკავშირებით — № კ-ოფ 3. შესაბამისად გააუქმა სფფ-ს საკომპლექტო საკითხთა კომიტეტის 1997 წლის 2 იანვრის №1 დადგენილება, რომელიც „დინამოს" „მრეტებისთვის" 875 ათასი დოლარის გადახდას აკისრებდა. მიუხედავად სასამართლოს მიერ „დინამოს" სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილებისა, შპს რუდოლფ მენდე გმბჰ საფეხბურთო საზოგადოების საქართველოს ფილიალი „მრეტების" წარმომადგენლები ფარ-ხმალის დაყრას სულაც არ აპირებენ, მით უმეტეს, რომ მათ სულ ახლახან ფიფადან მიღებული ფაქსიც უმაგრებს ზურგს. ფიფა მოითხოვს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან თავისივე დადგენილების აღსრულებას და ამა წლის 31 აგვისტომდე „დინამოს" დირექტორატისგან „მრეტებისთვის" ზემოთ ხსენებული თანხის უპირობო გადახდას. წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარიმითა და მკაცრი სანქციით იმუქრება.

ამ საქმესთან დაკავშირებით „სარბიელის" რედაქციაში მობრძანდა „მრეტების" ვიცე-პრეზიდენტი ნუგზარ კინკრიაშვილი და სხვა დოკუმენტებთან ერთად სფფ-ს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ა. ჩივაძისადმი „მრეტების" თბილისის პარტნიორთა საბჭოს მიმართვა მოიტანა. (ქსეროასლები სხვა სპორტულ გაზეთებშიც გაუგზავნიათ). მან ამ საკმაოდ ვრცელი წერილის სიტყვა-სიტყვით, შეუსწორებლად დაბეჭდვა გვთხოვა.

აუგსბურგი, 25 ივლისი, 1998 წ.
ფკ მრეტების თბილისის
პარტნიორთა საბჭო
*ფრიდრიხ ბოიმელი*

### მიმართვა ალექსანდრე ჩივაძისადმი

დიდად პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,

სფფ-ს პოზიცია, თავისი 2.01.1997 და 1.09.1997 დადგენილებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, ფკ მრეტები თბილისის ხელმძღვანელობა-დამფუძნებლების აზრით, დიდი ხანია გასცდა კანონიერების, ზნეობრივის და, ამდენად, ქართული ფეხბურთის ინტერესების საზღვრებს. ყოველივე ამას ჩვენ ამ წერილში ცხადვყოფთ.

თქვენს ყურადღებას წინასწარ მივაპყრობთ შემდეგს: ამ წერილის ასლი, ჯერჯერობით, ფიფა-სთვის არ გაგვიგზავნია. რაც შეეხება პრესას, ამ ეტაპზე კვლავ მხოლოდ ქართულ პრესას შევეხმიანეთ, რომელსაც ჩვენ გულწრფელად ვუკრავთ ტაშს — ქართულმა მასმედიამ არა ერთხელ გაგვაოცა კარგი კუთხით.

ჩვენ დაველოდებით ჩვენს მიერ ამ წერილში დაყენებულ მოთხოვნებზე თქვენს რეაგირებას და შესაბამისად გადავდგამთ შემდეგ ნაბიჯს.

იხილეთ მეოთხე გვერდი

# ყოჩები და გრიგალი

**აია 3:45 ყოჩები**

აია: 1ს. შვანგირაძე

ყოჩები: 7ლ. ჭელიძე 2, ცხვედიანი 2, ხეხელაშვილი 2, მაჩიტიძე; 5გ. მაჩიტიძე

გუშინ ვიცეჩემპიონ „აიას" საქართველოს ჩემპიონი „ყოჩები" ესტუმრა.

ქუთაისელთა ვიცეჩემპიონობა წლეულს რაღა სახსენებელია, გუნდს ერთი თამაშის მეტი ვერ მოუგია და ერთთავად კატასტროფული ანგარიშებით აგებს.

ეგებ გუშინაც ასე ყოფილიყო, რომ არა მეორე ტაიმისას ამოვარდნილი გრიგალი, თავს დატეხილი ჭექა-ქუხილი და თავსხმა.

მსაჯმა პაატა ნარიმანაშვილმა მეორე ნახევარი 25 წუთში შეწყვიტა.

იუზა ძაციტაძე ქუთაისიდან

# გიორგი დემეტრაძე: ვეცდები ბომბარდირთა სამეულში მოვხვდე

ბოლოდროინდელი ქართული საკლუბო გუნდების წარუმატებლობათა კვალობაზე ჩვენი ლეგიონერების წარმატებული თამაში თუ მოგვეფონება გულს. გიორგი დემეტრაძეც იმათ შორისაა, ვინც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი უკანასკნელ ხანებში. თვითონ განსაჯეთ, „ალანიაში" ნათამაშევი ოთხი მატჩის შემდეგ დემეს აქტივში შვიდი გოლია, რაც, დაგვეთანხმებით, ჩინებული შედეგია. „ტიუმენთან" წარმატებული შეხვედრის შემდეგ გიორგი ორიოდე დღით თბილისს ესტუმრა. ჩვენც ხელიდან არ გავუშვით მასთან გასაუბრების ასეთი შესაძლებლობა.


დემეს „ფეიენოორდი" ალარც ახსოვს

**— დემე, რას მივაწეროთ შენი თბილისში ჩამოსვლა?**

— მომენატრნენ მეგობრები, ახლობლები, თბილისი და აი, დრო ვიშოვე თუ არა, ჩამოვედი.

**— სანამ „ალანიაზე" ვიასუბრებდეთ, მოდი, შენს როტერდამულ პერიოდზე გვითხარი ორიოდე სიტყვა.**

— „ფეიენოორდთან" გაფორმებული მქონდა ექვსთვიანი ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ჰოლანდიურ კლუბს მიმანათხოვრეს. შეიძლება ითქვას, რომ დებიუტი არ გამოდგა ურიგო. შვიდი მატჩი ვითამაშე ძირითადში, აქედან ექვსი მოვიგეთ, ერთი კი ფრედ დავამთავრეთ. სამწუხარო ის გახლავთ, რომ გოლის გატანა ვერ მოვახერხე, თუმცა მომენტები საკმაოდ მქონდა. აი, ჩემმა შემცვლელმა აფრიკელმა ფეხბურთელმა შეძლო, ერთი ბურთი გაიტანა და ძირითადშიც ის დააყენეს. ამის შემდეგ „ფეიენოორდში" გაჩერება უარყოფითად თუ წაადგებოდა ჩემს კარიერას. მოგეხსენებათ, სათამაშო პრაქტიკის გარეშე ყოფნა რაოდენ აქვეითებს ფეხბურთელის ოსტატობას. მიწვევები საკმაოდ მქონდა და გადავწყვიტე, სხვაგან მეცადა ბედი.

**— მიწვევა რომ არაერთი მიიღე, ვიცით, ბელგიისა და ჰოლანდიის ბევრ გუნდს სურდა თავის რიგებში შენი ხილვა, საბოლოოდ კი მაინც „ალანია" არჩიე...**

— მართალია, თითქმის გადაწყვეტილი მქონდა ბელგიურ „ეკერენში" გადასვლა, მაგრამ თბილისში ჩამოსულს „ალანია" დამიკავშირდა და ოსური გუნდი ვამჯობინე.

**— მაინც რამ განაპირობა შენი არჩევანი?**

— კონკრეტულად იმას გეტყვით, რომ „სპორტ-ექსპრესიდან" მირეკავდნენ ხშირად, მეუბნებოდნენ, გაზაევს სურს შენი შესყიდვაო, მერე ბატონი ვოვა გუცაევიც დამიკავშირდა, მას ხომ გაზაევთან მეტად ახლო ურთიერთობები აკავშირებს. ამ ტრანსფერზე იმანაც იქონია გავლენა, რომ საქართველოსთან ახლოს ვარ. ეს კი ჩემთვის საკმაოდ ბევრს ნიშნავს. ძირითადად ამის გამო გადავწყვიტე ვლადიკავკაზში წასვლა და წელიწადნახევრიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი.

**— როგორი სიტუაცია დაგხვდა „ალანიაში" და გაზაევზე რას გვეტყვი, როგორ შთაბეჭდილებას ტოვებს შენზე, როგორც მწვრთნელი და პიროვნება?**

— გუნდში ნორმალური სიტუაციაა, ისეთი, როგორიც მაღალი შედეგისთვის მებრძოლ კლუბს შეჰფერის. რაც შეეხება გაზაევს, ფეხბურთზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცია. საკმაოდ ნორმალური ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა, ყოველ შემთხვევაში, ახლახან გავეცანით ერთმანეთს და სასაყვედურო არაფერი გამაჩნია.

**— გაზაევი თავის გუნდში მოთამაშე ქართველ ფეხბურთელებს ხშირად უცვლის ხოლმე ამპლუას. შენც ხომ არ შემოგთავაზა რაიმე ამდაგვარი?**

— არა, არავითარი ამპლუის შეცვლაზე არ გვქონია საუბარი, „ალანია" ორი თავდამსხმელით თამაშობს და ერთ-ერთი მათგანი მე ვარ.

**— ოსური გუნდის ბრაზილიელ ლეგიონერებზე რას იტყვი?**

— საკმაოდ მაღალი დონის ოსტატები არიან, განსაკუთრებით ის ფეხბურთელია კარგი, თავდამსხმელების უკან რომ ირჯება. მეტად ძლიერი გამთამაშებელია.

**— ოთხ თამაშში შვიდი გოლის გატანა მოახერხე...**

— უფრო სწორი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ, ფაქტობრივად, სამ მატჩში მოვახერხე ამ გოლების გატანა. „ბალტიკასთან" მატჩამდე საზარდული დამეჭიმა და გაზაევმა მითხრა, სჯობს ახლა დაგასვენო, ვიდრე გათამაშო და მერე მთელი თვე გამომაკლდეო. სათადარიგოებს შორის მაინც ვიჯექი, მწვრთნელმაც მომცა თამაშის საშუალება, ოცი წუთის განმავლობაში ოთხი მომენტი ვერ გამოვიყენე. რომ არა ტრავმა, მეტ ბურთს შევაგდებდი.

**— სამარის გუნდთან ბრწყინვალე ჯარიმა გაიტანე. საგანგებოდ ხომ არ ვარჯიშობ სტანდარტულ სიტუაციებზე?**

— დიახ, არა მარტო მე, მთლიანად გუნდი ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს სტანდარტული მდგომარეობიდან ბურთის სწორად და ახლებურად გათამაშებას. თანამედროვე ფეხბურთში ხომ გოლების უმეტესობა სწორედ არასათამაშო სიტუაციებიდან გააქვთ.

**— ჩალაძისა და გაზაევის კონფლიქტის შესახებ ხომ არ გვიამბობდი რამეს?**

— ბევრს ვერაფერს გეტყვით. ამ კონფლიქტს ვერაფერი გავუგე. გასახდელში წალაპარაკდნენ და მერე რა მოხდა, ჩემთვის უცნობია.

**— ვლადიმერ გუცაევი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რათა ჩვენს პირველ ნაკრებში ჯანსაღი კონკურენცია შეიქმნას, უდავოა, შენი კარგი თამაში მის ყურადღებას მიიპყრობდა. ჯერ ხომ არ დაგკავშირებია?**

— არა, ჯერჯერობით არა.

**— დემე, რამდენ ხანს აპირებ „ალანიაში" დარჩენას და სამომავლო გეგმებს ხომ არ გაგვიმხელ?**

— როგორც უკვე გითხარით, ოსურ კლუბთან წელიწადნახევრიანი კონტრაქტი მაკავშირებს, მაგრამ თუ მაღალი დონის ევროპული გუნდებიდან გამიჩნდება მოწვევა, აუცილებლად წავალ. რაც შეეხება უახლოეს გეგმებს, ვეცდები, რუსეთის ჩემპიონატის ბომბარდირთა სამეულში მოვხვდე.

**— თანაგუნდელები თუ გიწყობენ ხელს?**

— როგორ არა, მაქსიმალურად ცდილობენ მათამაშონ, პენალტებსაც მე ვურტყამ.

**— ისევ ჰოლანდიას დავუბრუნდეთ. „ფეიენოორდთან" „დინამოს" ძველი ნაცნობობა აკავშირებს, თუ ახსოვთ როტერდამში თბილისის „დინამო"?**

— ახსოვთ, როგორ არა, გუნდის ადმინისტრატორს, მომსახურე პერსონალს ჯერ არ დავიწყებიათ მაშინდელი თბილისის „დინამო", ფეხბურთელები — ყიფიანი, გუცაევი. ბევრი რამ იციან ქართულ ფეხბურთზე და საქართველოზე.

**— როგორ შეაფასებდი დღევანდელი ქართული ფეხბურთის დონეს და როგორ გგონია, გამოსავალი რა არის?**

— ყველაფერს ჩვენი ჩემპიონატის დაბალი დონე განსაზღვრავს. ქართული საკლუბო გუნდების ცუდ შედეგებსაც ეს განაპირობებს. გამოსავალზე ვერაფერს გეტყვით. ამაზე უფრო კომპეტენტურმა ხალხმა უნდა იფიქროს. ალბანური ფიასკოდან კი ტრაგედია არ უნდა შევქმნათ, უეფამ 3:0 ჩაუთვალა „დინამოს" და, ალბათ, ბიჭებიც მოეშვნენ. არა მგონია, ჩვენი ჩემპიონი ალბანეთისაზე რაიმეთი ნაკლები იყოს.

კონსტანტინე ბოგიშვილი

# კოლხეთი

საბოლოო ადგილი წინა ჩემპიონატში: მესამე

# ფილია ხელებს იკაპიწებს

ერთი დღეც და საქართველოში საფეხბურთო სეზონი გახურდება. ხვალ უმაღლესი ჯგუფის გუნდები საიუბილეო X ეროვნულში ჩაებმებიან. მასში მონაწილე გუნდებმა წინასასეზონო მოსამზადებელი პერიოდი ავად თუ კარგად განვლეს, ზოგი ჩვენშივე ემზადებოდა, ზოგმაც უცხოური გარემო ირჩია, ზოგმა ევროპაშიც წაიბურთავა, ჩვენდა სამწუხაროდ, სამარცხვინოდ. ამათ შორისაა ფოთის „კოლხეთიც". კოლხებმა წინასასეზონო მზადება თურქეთის ქალაქ ორდუში გაიარეს, იქვე მოემზადნენ „ცრვენა ზვეზდასთან" დასახვედრად, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ გამოდგა. არა, იმას არ ვამბობთ, იუგებისთვის უნდა მოგვეგოო, მაგრამ ასე საშვილიშვილოდ შერცხვენაც მეტისმეტია. კოლხები დღემდე ფოთში ემზადებიან და ხვალ პირველივე ტურში მოლონიერებულ „ლოკომოტივს" დაუპირისპირდება. ფოთელთა თავკაც *სოსო ფილიასაც* სამზადისზე გავესაუბრეთ

— ორიოდე სიტყვით „ცრვენა ზვეზდაზე" ვიტყვი. მართალი გითხრათ, მეგონა, რაღაცას წარმოვადგენდით, მაგრამ სულ უფრო ვრწმუნდები, რომ ჩვენ და ევროპელები ისევე განვსხვავდებით, როგორც ცა და დედამიწა. მარტო ჩვენი ჩემპიონატის ამარა არაფერი გამოვა. ყველამ, ქართულ ფეხბურთში მოღვაწე საქმოსნებმა, ფედერაციამ, ჩვენ, მწვრთნელებმა, ხელები უნდა დავიკაპიწოთ და ქართული ფეხბურთის შენება თავიდან დავიწყოთ. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას, ფეხბურთელებს ელემენტარული პირობები უნდა ჰქონდეთ, რათა მარტო თამაშსა და ფეხბურთზე იფიქრონ. უნდა მოხდეს მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება, თორემ ასე არაფერი გვეშველება. იუგებთან პირველივე თამაშის წინ დარწმუნებული ვიყავი, რომ ბიჭები ფსიქოლოგიურად მზად იყვნენ, მაგრამ შეხვედრის დაწყებისთანავე მორალურად გატყდნენ. საპასუხო მატჩში ჩვენებს ფსიქოლოგიური ტვირთი თითქოს მოეხსნათ და თავისუფლად ათამაშდნენ, პირველი ნახევრის 20-25 წუთის მანძილზე მოწესრიგებულადაც ირჯებოდნენ, მაგრამ გოლი რომ გავუშვით, ყველაფერი აირია — მოიშალა ყველა რგოლი, დაირღვა სათამაშო დისციპლინა და ბიჭებიც სულიერად დაეცნენ. რომ არა ყოველივე ეს, მჯერა, ასე კატასტროფულად არ წავაგებდით.

**— შევეშვათ „ცრვენა ზვეზდას". ხვალ, პირველივე ტურში „ლოკომოტივს" ხვდებით. როგორ მოემზადა გუნდი X ეროვნულისთვის და საკონტროლო მატჩიც ხომ არ გაგიმართავთ?**

— როგორც იცით, ჩვენ მოსამზადებელი ციკლის პირველი ნაწილი თურქეთში გავიარეთ და ორ სუსტ მეტოქეს შავი დღეც ვაყარეთ, თურქეთის მერე აქ გავაგრძელეთ მზადება, ამხანაგურად ვეთამაშეთ „სამგურალსაც". კარგი იქნებოდა, „ცრვენა ზვეზდას" შემდეგ კიდევ ჩაგვეტარებინა საკონტროლო შეხვედრები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემპიონატს მოუმზადებელნი ვხვდებით.

**— გავიგეთ, გუნდში მნიშვნელოვანი ცვლილებები ყოფილა.**

— ასეა. ჩვენმა ვეტერანებმა — მიქაბერიძემ, მამუკა გვასალიამ, კაკაჩიამ და დათო მახარაძემ ფეხბურთისთვის თავის დანებება გადაწყვიტეს. ამათ დიდი ღვაწლი მიუძღვით გუნდის წინაშე და ვალმოხდილნიც გეტოვებენ. ვაპირებთ, უახლოეს ხანში ამ ფეხბურთელებს საკადრისი გაცილება მოვუწყოთ. გარდა ამისა, გუნდის დატოვების სურვილი ინალიშვილმა და გიორგაძემ გამოთქვეს. მოგეხსენებათ, გელა იჯარით გვყავდა სამარელთაგან ნათხოვარი, ახლა კი მას უცხოეთში სურს თამაშის გაგრძელება და ჩვენც ხელს არ შევუშლით. რაც შეეხებ გია გიორგაძეს, იგი, ალბათ, ლანჩხუთის „გურიას" მიაშურებს. შევსება კი ასეთია: შევიმატეთ ჯონი კალანდაძე „ოდიშიდან", ყოფილი თსუ-ელი ჯონი შალამბერიძე, მარგველი ლევან შავგულიძე და ახალგაზრდები — ჭანტურია, ლეჟავა და ჩაგანავა ჩვენი ფარმ-კლუბიდან. გარდა ამისა, შევიგულეთ ახალგაზრდა, ნიჭიერი მეკარე კეკელია მარტვილიდან. სხვა ცვლილებები გუნდში არ არის.


ფილია ისევ დიდ მიზნებს ისახავს

**— სათამაშო რგოლების მიხედვით როგორ დაკომპლექტეთ გუნდი?**

— მიუხედავად იმისა, რომ ექვსმა კაცმა დაგვტოვა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სათამაშო რგოლებში დიდი პრობლემა შეგვექმნება. მართალია, ეს ფეხბურთელები გუნდისთვის დიდი ძალა იყო, მაგრამ ასეც როდია საქმე. ასეა თუ ისე, დაცვა და ნახევარდაცვა შედარებით ნორმალურია, აი, თავდასხმაში კი გვიჭირს.

ჩვენს ფორვარდებს, ელდარ გვასალიასა და წივწივაძეს წინა ხაზზე აქტიურად მოძრაობა კი შეუძლიათ, მაგრამ ერთი თავდამსხმელი მაინც გვჭირდება. ვცდილობთ, ვარჯიშებზე ამათთან ერთად ამ ადგილზე როგორმე ახალგაზრდები, შავგულიძე და კრასოვსკიც მოვსინჯოთ. აქედან გამომდინარე, სათამაშო რგოლებში გარკვეული ხარვეზები უნდა აღმოვფხრათ და ტაქტიკა დავხვეწოთ.

**— ინალიშვილის წასვლის შემთხვევაში გუნდში ვის ძალუძს ლიდერის ტვირთის ზიდვა?**

— მართალია, გელა დიდი ძალა იყო, მაგრამ ჩვენ გვყავს ფეხბურთელები, რომლებსაც უნარი შესწევთ, თავიანთ თავზე აიღონ დისპეტჩერობა. ნოზაძეს, ქობულაძეს და ტორჩინავას თავისუფლად შეუძლიათ, ეს საქმე იტვირთონ.

**— გუნდში მომხდარ ცვლილებებზე კი გვითხარით, მაგრამ უცხოეთში გაქცევაზე კიდევ ვინმეს ხომ არ უჭირავს თვალი?**

— მსურველნი არიან, მაგრამ დღესდღეობით არავინ აპირებს გუნდის დატოვებას, ისინი მთელი სეზონის მანძილზე ჩვენთან იქნებიან. ის კი არა, გვსურს, კიდევ უფრო გავძლიერდეთ.

**— ხომ არავინ დაშავებულა?**

— დაშავებით არავინ. მხოლოდ ღალანიძეს და შავგულიძეს ჰქონდათ მაღალი ტემპერატურა, ეტყობა, ვირუსი შეეყარათ, მაგრამ დღესდღეობით სრულიად ჯანმრთელნი არიან.

**— გუნდის მზადებაში ისევ ისინი გეხმარებათ, ვინც აქამდე გედგათ მხარში?**

— დიახ, გუნდის ხელმძღვანელობაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა და იგი წლეულსაც გააგრძელებს საქმიანობას.

**— ფინანსურად როგორ გაქვთ საქმე?**

— კლუბის პრეზიდენტი ჯემალ ინაიშვილი შეძლებისდაგვარად ყველაფერს აკეთებს, რათა გუნდს არ გაუჭირდეს. ყველანაირი დავალიანება გასტუმრებულია. ახალ სეზონში ფეხბურთელებს ხელფასები და პრემიები დროულად, დაუგვიანებლად მიეცემათ. ერთსაც გეტყვით, ფეხბურთელთა კონტრაქტში ჩაიდო მუხლი, თუ გუნდი წლეულს საქართველოს თასის ფინალში გავა ანაც თასს მოიგებს, დაწესებულია კონკრეტული თანხა ორ-ორი ათასი ლარი თითოეულზე. ასე რომ, ამ მხრივ „კოლხეთში" ყველანაირი პრობლემა გადაჭრილია.

**— ბატონო სოსო, კოლხები ბოლო წლების მანძილზე მუდამ პრიზიორებში ხვდებით და სტაბილური გუნდის სახელიც დაიგდეთ. ალბათ, უპრიანიც იქნება, უფრო მაღალ მიზანს ისახავდეთ.**

— მართალია, წლეულს ჩვენი მთავარი მიზანი ევროსაგზურის მოპოვება და საქართველოს თასის ფინალში გასვლაა. რა თქმა უნდა, თასზეც არ ვიტყვით უარს, თუკი შანსი მოგვეცემა, არც ჩემპიონობა იქნება ურიგო.

**— კალენდრით თუ ხართ კმაყოფილი? მით უმეტეს, იგი ახლებურადაა შედგენილი.**

— თავიდანვე გეტყვით, რომ მომხრე ვიყავი, ტურები ერთკვირიანი ციკლით, შაბათ-კვირაობით გამართულიყო. ასე რომ, კმაყოფილი ვარ.

გიორგი ვაშაკიძე

## ტრანსფერი 98

### წავიდნენ

| | |
|---|---|
| მიქაბერიძე | *თამაში მიატოვა* |
| მ. გვასალია | *თამაში მიატოვა* |
| კაკაჩია | *თამაში მიატოვა* |
| დ. მახარაძე | *თამაში მიატოვა* |
| გიორგაძე | *გურია* |
| ინალიშვილი | *?, უცხოეთი* |

### მოვიდნენ

| | |
|---|---|
| კალანდაძე | *ოდიში* |
| შალამბერიძე | *თსუ* |
| შავგულიძე | *მარგვეთი* |
| გოჩა ჭანტურია | *ფაზისი* |
| ლეჟავა | *ფაზისი* |
| ჩაგანავა | *ფაზისი* |
| კეკელია | *სალხინო* |

# პეტრიაშვილის აღთქმულ მიწაზე

შარშანდელი ჩემპიონატის გასრულებას რამდენიმე ტური უკლდა, როდესაც „დინამოს" ახალდანიშნულმა მწვრთნელმა მურთაზ ხურცილავამ დისციპლინის დარღვევისთვის მეორე წრიდან დავით პეტრიაშვილი კობა წიტაიშვილთან ერთად გუნდიდან დაითხოვა.

ამის შემდეგ პეტრო სამი თვე ინდივიდუალურად ვარჯიშობდა, რათა სათამაშო ფორმა არ დაეკარგა, მაგრამ ეს რომ ფეხბურთელისთვის არ კმარა, ფაქტია. ამ ხნის განმავლობაში ახალი გუნდის ძებნაში იყო და მიაგნო კიდეც, ისრაელს მიაშურა. პეტრიაშვილმა იქაურ თელ ავივის „მაკაბისთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი. ჩვენებური ამ დღეებში აღთქმულ მიწისკენ გაემგზავრება და ერთი წლით „მაკაბისთვის" გაირჯება.

გიორგი ვაშაკიძე

# ხუჯაძეს ნივას პეჟო ურჩევნია, მაგრამ...

ქუთაისი „ტორპედოს" ყოფილი ნახევარმცველი შალვა ხუჯაძე ფრანგული „მონპელიესთან" აწარმოებდა მოლაპარაკებას. ხუჯაძე გუშინ, საღამოს 5 საათზე უნდა გაფრენილიყო საფრანგეთს საკონტაქტო დეტალების დასაზუსტებლად, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, იგი „მონპელიეს" ნაცვლად უკრაინულ ტერნოპოლის „ნივაში" აღმოჩნდეს. როგორც შალვამ საფრანგეთში გაფრენამდე ნახევარი საათით ადრე გვაცნობა, მას „ნივას" ქართველი პრეზიდენტი ავთანდილ მდინარაძე დაუკავშირდა და ერთი წლით მათთან გადასვლა შესთავაზა. „თუ საფრანგეთის ვარიანტი არ გამოვიდა, მაშინ ტერნოპოლში წავალ და იქ ვითამაშებ, აქ დარჩენას ისევ იქ ყოფნა მირჩევნია" — დაამატა ხუჯაძემ. „ტორპედოს" ხელმძღვანელები, როგორც „ნივასგან", ისე „მონპელიესგან" ფეხბურთელის საკომპენსაციოდ 35 000 დოლარს ითხოვენ და როგორც ჩანს, ორივე გუნდი ყაბულსაა ამ თანხის გადახდაზე. მდინარაძეს თურმე ადრეც სდომია ხუჯაძის წაყვანა, მაგრამ მაშინ შალვას კონტრაქტი ჰქონდა „ტორპედოსთან" და არაა გამორიცხული, ქუთაისელებს მეტიც მოეთხოვათ.

ხუჯაძეს, ფაქტობრივად, გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, მაგრამ თუ „მონპელიემ" იძალა, მაშინ ტრანსფერი „ტორპედოდან" კი არა, უკრაინული კლუბიდან შედგება.

თუ მოხდა და შალვა ხუჯაძე „მონპელიეს" მაგივრად „ნივაში" გადაბარგდა, მაშინ ამ უკრაინულ გუნდში ერთბაშად სამი ქართველი იბურთავებს. „ნივაში" უკვე მერამდენე სეზონია, ტყუპი ავთანდილ და ტარიელ კაპანაძეები თამაშობენ.

გიორგი ვაშაკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლოკომოტივი

საბოლოო ადგილი წინა ჩემპიონატში: მეექვსე

# თემურ მახარაძე: ლოკომოტივი ერთ-ერთი საუკეთესო იქნება

ხუთი დღეც და დაიწყება საქართველოს მეათე ეროვნული ჩემპიონატი. გულშემატკივარი ყოველი სეზონის წინ სიახლესა და სიურპრიზებს ელის. შარშანდელი ჩემპიონატის ყველაზე დიდი მოულოდნელობა თბილისური „ლოკომოტივის“ ცუდი სტარტი და უცაბედად გამოსწორებული, კარგი თამაში იყო, რაც პირველ რიგში მწვრთნელის თემურ მახარაძის დამსახურება გახლავთ. მას გუნდის გაძლოლა რომ საუცხოოდ შეუძლია, „მერანში“ მოღვაწეობის დროსაც დამტკიცდა, როდესაც პირველი ჯგუფის დებიუტანტს ინტერტოტოს საგზური მოაპოვებინა და არც ევროპაში შერცხვა. ვინ იცის, მახარაძე „ლოკომოტივს“ შარშანდელი სეზონის დასაწყისშივე რომ ჩადგომოდა სათავეში, იქნებ ახლაც იგივე გაემეორებინა და მეექვსეზე მაღალი ადგილი დაეკავებინა, მაგრამ იგი მაშინ დაინიშნა, როცა რკინიგზელები ცხრილის ბოლოში ჩაძირულიყვნენ. კარსმომდგარი ჩემპიონატის სამზადისზე თავად *თემურ მახარაძეს* გავესაუბრეთ.



მახარაძე ხელებს იფშვნეტს

**— ისეთებიც ხომ არა გყავნან, გაქცევაზე რომ უჭირავთ თვალი?**

— არა, ერთადერთი, ღუდუშაურს თუ გამოუჩნდა ხელსაყრელი ვარიანტი, ალბათ, წავა. დანარჩენები კი მინიმუმ ერთ სეზონს ჩვენთან გაატარებენ.

**— ტრავმა ხომ არ აწუხებს ვინმეს?**

— სერიოზულად არავინ დაშავებულა. თარხნიშვილმა ბოლო საკონტროლო მატჩში მიიღო მცირე ტრავმა. ჯანელიძეს ძველმა სატკივარმა შეახსენა თავი, ცოტა ფეხი შეუსივდა, მაგრამ რამდენიმე დღეს დავასვენებთ და ჩემპიონატის სტარტისთვის ფორმაში იქნება.

**— გუნდის ძირითადი ბირთვი, ალბათ, უკვე გამოიკვეთა. რგოლების მიხედვით ხომ ვერ დაახასიათებდით და რომელს გამოყოფდით?**

— ძირითადი ბირთვი, რომელსაც მომავალი სეზონი დააწვება მხრებზე, კი გამოიკვეთა, მაგრამ ჯერჯერობით ვერცერთ პოზიციას გამოვარჩევ, რადგან ახალშექმნილი გუნდია, ოფიციალური მატჩი ჯერ არ გვითამაშია და მიჭირს იმის თქმა, რომელი რგოლით კმაყოფილი ვარ, რომლით არა.

**— თუ გყავთ გუნდში ისეთი ფეხბურთელი, ვისაც გაჭირვებისას ლიდერის მოვალეობის შესრულება შეუძლია?**

— კი, ასეთი ფეხბურთელი ყველა რგოლში გვყავს, დაცვაშიც, ნახევარდაცვაშიც და თავდასხმაშიც.

**— მოსამზადებელი პერიოდით მთლიანობაში კმაყოფილი ხართ?**

— ძალიან. შემიძლია ვთქვა, რომ მეტად ნაყოფიერი წვრთნა გვქონდა და ეს განსაკუთრებით ბორჯომში გავლილ შეკრებას ეხება.

**— ხმა გავრცელდა, რომ არველაძეებს „ლოკომოტივის“ სტადიონის შეძენა სურთ. რა კომენტარს გაუკეთებდით ამ ფაქტს?**

— რამდენადაც ვიცი, ისინი რკინიგზელებთან შეამხანაგებას და სტადიონის ერთობლივი ძალებით კეთილმოწყობას აპირებენ. ნამდვილად მამულიშვილური საქმეა და მივესალმები მათ გადაწყვეტილებას.

**— გავიგეთ, „ლოკომოტივი“, თსუსა და „ვიტ ჯორჯიას“ მსგავსად, ჩემპიონატის მატჩების ჩატარებას მცხეთაში აპირებსო...**

— ასეა, პირველი წრის მატჩებს ჩვენც მცხეთაში გავმართავთ. ამ ხნის განმავლობაში კი კლუბის სტადიონსაც მივხედავთ. განსაკუთრებით ცუდ დღეში მინდორია, მასზე თამაში, ფაქტობრივად, შეუძლებელია. არადა, კარგი გუნდი ხომ კარგი მოედნიდან იწყება...

**— გუნდის მომზადებაში ვინ გეხმარებათ?**

— ძირითადად მწვრთნელები — მერაბ ხუცურაული, ვაჟა ტოგონიძე, ექიმი და მასაჟისტიც გვერდში მიდგანან. ასე რომ, საკმაოდ დიდი ძალა ვართ.

**— გუნდის პრეზიდენტი ვინ არის? ბატონი რობიზონ ქინქლაძე ჯერ წავიდა, შემდეგ თითქოს დაბრუნდა...**

— ბატონი რობიზონი, სამწუხაროდ, გუნდიდან წავიდა, პრეზიდენტი კი აკაკი ჩხაიძეა. ეს პიროვნება დიდ ყურადღებას გვაქცევს და სერიოზულადაა დაინტერესებული ძლიერი კლუბის შექმნით.

— გუნდმა ვარჯიში გარკვეული მიზეზების გამო საკმაოდ გვიან, 1 ივლისს დაიწყო. თავიდან ათი დღე აქ, ჩვენს სტადიონზე ვემზადებოდით, 10 ივლისს ათდღიან შეკრებაზე ბორჯომში გავემგზავრეთ, სადაც საკმაოდ ნაყოფიერი წვრთნა გვქონდა, განსაკუთრებული ყურადღება ფიზიკურ მომზადებას დავუთმეთ. ძალიან გვინდოდა საკონტროლო მატჩების ჩატარება, მაგრამ მოედნის უხარისხობის გამო ვერ მოვახერხეთ, ძლიერი სპარინგ-პარტნიორებიც არ იყვნენ. 20 ივლისს თბილისში დავბრუნდით და „ლოკომოტივზე“ გავაგრძელეთ ვარჯიში. 24-ში „მეტალურგთან“ პირველი საკონტროლო მატჩი გავმართეთ. საკმაოდ კარგი თამაში გამოვიდა, რუსთაველებმა ღირსეული წინააღმდეგობა გაგვიწიეს, საბოლოოდ 2:0 გავიმარჯვეთ. მეორე შეხვედრა თბილისში გვქონდა გორის „დილასთან“ — 5:0 მოვიგეთ. ბოლო მატჩი კი „ვიტ ჯორჯიასთან“ ვითამაშეთ და კვლავ გავიმარჯვეთ, ამჯერად — 3:2.

**— რა ცვლილებებია გუნდში?**

— „ლოკომოტივი“ დატოვა თერთმეტმა ფეხბურთელმა, მათ შორის, მეკარე ვოლკოვმა, კვეტენაძემ, გოდერძიშვილმა, დემურ კაკუბავამ. სამაგიეროდ, დავიმატეთ ათი ფეხბურთელი, მათგან ხუთი „დილადან“, აგრეთვე მეკარე დავით ჯანელიძე „ვიტ ჯორჯიადან“. მოსკოვის „ტორპედოდან“ დროებით ვითხოვეთ გიორგი ღუდუშაური, მაგრამ როდემდე დარჩება იგი ჩვენთან, ჯერ არ ვიცით. ასე რომ, ფაქტობრივად, ახალი გუნდის ჩამოყალიბება გვიხდება.

### ტრანსფერი 98

#### წავიდნენ

| | |
|---|---|
| ენუქიძე | *ვიტ ჯორჯია* |
| ახალაძე | *ვიტ ჯორჯია* |
| ცოტაძე | *ვიტ ჯორჯია* |
| კაკუბავა | *თსუ* |
| გ. კვეტენაძე | *მერანი* |
| ხუციშვილი | *მერანი* |
| ი. ხუჯაძე | *მეტალურგი* |
| ვოლკოვი | *?, საქართველო* |
| ზ. არჩვაძე | *?, საქართველო* |
| ქველაძე | *?, საქართველო* |
| ვასაძე | *?, საქართველო* |
| გოდერძიშვილი | *?, ისრაელი* |

#### მოვიდნენ

| | |
|---|---|
| დ. ჯანელიძე | *ვიტ ჯორჯია* |
| ღუდუშაური | *ტორპედო მ, რუსეთი* |
| ხორგუაშვილი | *დილა* |
| მარღიშვილი | *დილა* |
| თარხნიშვილი | *დილა* |
| ბალაშვილი | *დილა* |
| მ. მინდიაშვილი | *დილა* |
| ნ. მინდიაშვილი | *ბათუმი* |
| კაციაშვილი | *მარგვეთი* |
| გიორგი ქორიძე | *თსუ* |

ფინანსურად, ისევე, როგორც სხვას, ჩვენც გვიჭირს, თუმცა ბატონი აკაკი ყველანაირად ცდილობს, მაქსიმალურად ნორმალური პირობები შეგვიქმნას.

**— შარშან, თქვენი „ლოკომოტივში“ მისვლის შემდეგ, გუნდმა საგრძნობლად მოუმატა. ამან გულშემატკივარს იმედი ჩაუსახა, რომ რკინიგზელები მახარაძის ხელმძღვანელობით ევროტურნირების საგზურს მოიპოვებდნენ. რა მიზანს ისახავთ წლევანდელ ჩემპიონატში?**

— ჩვენი მიზანი მოწინავეთა შორის ყოფნაა. რაც შეეხება ევროთასებზე გასვლას, არ მიყვარს კონკრეტულ შედეგზე საუბარი, მაგრამ შემიძლია განვაცხადო, რომ „ლოკომოტივი“ ერთ-ერთი საუკეთესო იქნება.

**— ევროთასებზე ქართული გუნდების წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ ევროპაში გასვლას ერთგვარად ხომ არ უფრთხით?**

— როდესაც „მერანში“ ვმუშაობდი, მთელ ყურადღებას ევროთასების საგზურზე ვამახვილებდით. როცა საწადელი ავისრულეთ და ევროპაში გავედით, მივხვდით, რომ იქ სხვა დონე იყო. „ცრვენა ზვეზდასთან“ და მსგავსს გუნდებთან თამაში ქართულ კლუბებს ჯერჯერობით გაუჭირდებათ, რადგან ჩვენს შორის ძალიან დიდი სხვაობაა.

**— გამოსავალს რაში ხედავთ?**

— ჩემპიონატის დონის ამაღლებასა და საფეხბურთო მეურნეობის მოწესრიგებაში. გაუმართლებლად მიმაჩნია ახალგაზრდათა ასეთი მასობრივი მიგრაცია. მათ ჯერ აქ უნდა ითამაშონ, გარკვეულ დონეს მიაღწიონ, დასამტკიცებელი დაამტკიცონ და მერე, კი ბატონო.

**— ფედერაციის ყრილობის გადადებაზე რას იტყოდით?**

— ძალიან ცუდია, რომ არჩევნები დათქმულ დროს არ ჩატარდა. უკეთესი იქნებოდა, ყველაფერი ახალი ჩემპიონატის დაწყებამდე გარკვეულიყო, ვნებათაღელვაც ჩაცხრებოდა და მუშაობის გარკვეული სისტემაც მომზადდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, რაც დამატებით პრობლემებს შექმნის.

**— ყრილობაზე დელეგატის მანდატი რომ გქონდეთ, თუ საიდუმლო არ არის, ვის მისცემდით ხმას?**

— მხოლოდ ერთ რამეს ვიტყოდი, ნოდარ ახალკაცი იყო უდიდესი პროფესიონალი და ჩინებული ადამიანი. ამ თანამდებობაზე მისი შემცვლელი საქმის ცოდნით უნდა პასუხობდეს შესაბამის მოთხოვნებს.

**— ახალი პრინციპით შედგენილი კალენდრით კმაყოფილი ხართ?**

— პირიქით, ძალიან უკმაყოფილო. კალენდარს ყოველთვის დაკავებული ადგილების მიხედვით ადგენდნენ, ახლა კი ეს კენჭისყრით მოხდა, რაც უსამართლოდ მიმაჩნია. სამწუხაროდ, ალმასკომის სხდომას ვერ დავესწარი, თორემ ჩემს სათქმელს ვიტყოდი. გუნდმა იშრომა, იწვალა, მაღალი ადგილი დაიკავა და კენჭისყრის გამო იჩაგრება. ძალიან ცუდი განრიგი გვაქვს, საწყის ტურებში სულ ლიდერებს ვხვდებით. თავიდან გაგვიჭირდება, მაგრამ შემდეგ დაკარგული უნდა ავინაზღაუროთ, სხვანაირად არ გამოვა.

**ვანო ოქროპირიძე**

## გურია

საბოლოო ადგილი წინა ჩემპიონატში: მეთოთხმეტე

# ყოფნა, არყოფნა, საკითხავი, ისევ ეს არის

### ტრანსფერი 98

#### წავიდნენ

| | |
|---|---|
| ქიქავა | *არსენალი* |
| განევი | *?, საქართველო* |
| ჩხეტია | *?, საქართველო* |

#### მოვიდნენ

| | |
|---|---|
| ინიაშვილი | *მერანი* |
| გიორგაძე | *კოლხეთი* |
| ბუიშვილი | *მაღაროელი* |
| იობიძე | *?* |

შარშანდელი სეზონი დასასრულს რომ უახლოვდებოდა, გურულები ერთხმად გაიძახოდნენ — წელს გადავრჩეთ და გაისად ძლიერ კლუბს შევქმნითო. ვაგლახ, ასე არ მოხდა. უკვე ხუთ წელზე მეტია, „გურიას“ ძლიერ უჭირს. გუნდს სატურნირო ცხრილის ფსკერზე ყურყუმელაობა ტრადიციად ექცა და დაქვეითებაც არაერთხელ დაემუქრა. წინა ჩემპიონატში კი გურულებმა სულაც გადათამაშებაში ბოლნისის „სიონის“ ძლევით დააღწიეს თავი გავარდნას. თუმცა აგერ კარს მოგვადგა ახალი სეზონი და „გურია“ ისევ სულს ღაფავს. არადა, საგანგაშო თითქოს არაფერი იყო, რადგან კლუბს პრეზიდენტად დაუბრუნდა ამირან წილოსანი, პიროვნება, რომელიც „გურიას“ დიდების ჟამს თავკაცობდა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ გუნდში მოიწვიეს მრავალნაცადი და გამოცდილი მწვრთნელი ჯონი ჯანელიძე. ჰოდა, მავანი იფიქრებდა, აუწყვიათ საქმე და ეს არისო, თუმცა არც მთლად ასეა. ყველა სიკეთესთან ერთად გუნდს ფული რომ სჭირდება, ეს, ალბათ, ყველას მოგეხსენებათ. მაგრამ სად არის ეს თანხა? კი ბატონო, საქართველოს ლამის ყველა გუნდს უფულობა აწუხებს, მაგრამ „გურიას“ ფინანსურად მეტისმეტად გასჭირვებია.

რომ გაგვეგო, თუ როგორ გადიოდა „გურია“ სეზონისწინა სამზადისს, გრიგოლეთის ბაზას მივაშურეთ, მაგრამ იქ რა სიტუაციაც დაგვხვდა, მტერს და ავს არ ვუსურვებთ. ჩვენი მისვლა და გუნდის დილის ვარჯიშის დასრულება ერთი იყო. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ვარჯიშის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელების ფეხბურთელებთან შეხვედრამ ყველაფერი ნათელი გახადა. საქმე ისაა, რომ ფეხბურთელები კატეგორიულად ითხოვენ შარშანდელი კუთვნილი თანხის მთლიანად მიღებას, რომელიც, წესით და რიგით, მათთვის კარგა ხანია უნდა მიეცათ, მაგრამ დაპირებებს ბოლო არ უჩანს. გუნდის დღევანდელი მდგომარეობის შეფასება *ჯონი ჯანელიძეს* ვთხოვეთ

— გუნდმა ახალი სეზონისთვის მზადება 22 ივლისიდან დაიწყო. ეს ათი დღე დიდი დრო ნამდვილად არ არის, მაგრამ გარკვეული სამუშაო მაინც ნაყოფიერად შესრულდა. ჩვენ, მწვრთნელები და ფეხბურთელები, ვცდილობთ, ჩვენი მოვალეობა პირნათლად შევასრულოთ, დანარჩენი კი კლუბის თავკაცების გასაკეთებელია.

**— რა მდგომარეობაა გუნდში — ვინ მოვიდა, ვინ წავიდა?**

— გუნდის შარშანდელი ძირითადი ბირთვი თითქმის მთლიანად შენარჩუნებულია. მხოლოდ განევი, ქიქავა და ჩხეტია გამოგვაკლდნენ. დამატებით კი მერანელი ინიაშვილი დავიმატეთ. ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი გავსინჯეთ — უმეტესობა გავუშვით, ნაწილი დავიტოვეთ, მაგრამ ვინ დარჩება საბოლოოდ, ჯერ კიდევ უცნობია.

**— საკონტროლო მატჩები თუ ჩაატარეთ?**

— ორი შეხვედრა ვითამაშეთ, ორივე „ბათუმთან“ (2:3, 0:1) და შეიძლება ითქვას, რომ გუნდს ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია.

**— მოსამზადებელი პირობები დალხინებული რომ არ გაქვთ, ეს ერთი შეხედვითაც ცხადია.**

— რა პირობებზეა საუბარი, როცა გუნდში ასეთი გაურკვეველი სიტუაციაა. ბიჭებს სათამაშო ბუცებიც კი სანატრელი გაუხდათ. სეზონი მოახლოვდა, მაგრამ სათამაშო ფორმის ერთი კომპლექტიც არ გაგვაჩნია, ფეხბურთელების საკონტრაქტო პირობებზე აღარაფერს ვამბობ. ერთია, აუგს მხოლოდ კვებაზე ვერ ვიტყვი. კვება, ასე თუ ისე, ნორმალურია, მაგრამ როდემდე გასტანს ეს, ღმერთმა უწყის.

**— მდგომარეობა გუნდში მეტად კრიტიკულია, მაგრამ თუ ვითარება გაუმჯობესდა, რას ჰპირდებით „გურიის“ ქომაგებს?**

— აბა, რა უნდა გითხრათ, ასეთ პირობებში რაიმე წარმატებაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ისე კი, თუ ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვალა, ერთის თქმა ნამდვილად შეიძლება — „გურიას“ ექვსეულში თუ არა, ცხრილის შუაგულში მყარად შეუძლია ადგილის დაკავება.

ამასობაში კლუბის ხელმძღვანელები გურიის მხარის გუბერნატორთან შეხვედრიდან ხელცარიელნი დაბრუნდნენ, თუმცა საქმის მეორე დღისთვის გადაწყვეტა აღუთქვეს ფეხბურთელებს, რომლებსაც მოთმინების ფიალა საბოლოოდ



ჯანელიძეს საფიქრალი მოემატა

აევსოთ: მათ მორიგი დაპირება მორიგ ტყუილად აღიქვეს და უკლებლივ ყველამ დატოვა გრიგოლეთის ბაზა.

ეს ყველაფერი შაბათს მოხდა. კვირას კი მხარის ხელმძღვანელობამ გრიგოლეთის ბაზაზე ლანჩხუთის „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ შეკრიბა და „გურიას“ ყოფნა-არყოფნის საკითხზე მინი-თათბირიც ჩაატარა, მაგრამ რა გამოვა აქედან, ამას დრო გვიჩვენებს. დრო კი არ ითმენს. გუნდების განაცხადების შეტანის ბოლო ვადა ხომ იწურება.

მოკლედ, „გურია“ შეიძლება დაიშალოს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ერთ დროს საქართველოს საამაყო გუნდი დღესდღეობით ყველასგან მიტოვებულია და შველას ითხოვს. მშველელი კი არავინ არის. ცხონებული ევგრაფი შევარდნაძე, რომელმაც მთელი ცხოვრება „გურიას“ კეთილდღეობას შეალია, თავის დროზე ამბობდა — ლანჩხუთი იქნებ პოლიტიკურ რუკაზე ვერ მოხვდეს, მაგრამ საფეხბურთოზე უეჭველად აღინიშნებაო. ახლოვდება ბატონო ევგრაფის საიუბილეო 80 წლისთავი და თუ „გურია“ დაიშლება, ეს მისი ნათელი ხსოვნის დიდი უპატივცემულობა იქნება. ეს კი, არა მარტო ლანჩხუთის, არამედ მთლიანად ქართული ფეხბურთის დიდი სირცხვილია.

**გოჩა ჯანაშია**

# საუკუნის პროცესი მრეტები — დინამო. ვინ ვის?

დასაწყისი პირველ გვერდზე

### ვისია სფფ?

ეს გახლავთ პირველი შემთხვევა, როდესაც ფკ მრეტები თბილისი პირადად თქვენ მოგმართავთ, დიდად პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო, ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ამის მიზეზსაც ამთავითვე მოგახსენებთ.

დღემდე ჩვენ, წესისამებრ, ყოველთვის სფფ-ს გენერალურ მდივანს ბატონ დავით კვინიკაძეს მივმართავდით. მაგრამ ბატონი გენერალური მდივანი, საერთოდ და თავისთავად ზემოაღნიშნულ საკითხზეც, ყოველგვარ პასუხისმებლობას იხსნის და ხაზგასმით აცხადებს:

„მე კანონებში ჩამჯდარი კაცი ვარ და ვიმეორებ, ფედერაციის გადაწყვეტილებებს ვასრულებ. გამიგეთ, მე მხოლოდ შემსრულებელი ვარ" (ალია, 16.07.1998).

ჩვენ აქვე დავუსვამდით წერტილს ბატონი გენერალური მდივნის თემას, რომ არა რამდენიმე გარემოება.

გარემოება პირველი. ბატონი გენერალური მდივნის განცხადებაში იქვე შეაქვს ეჭვი ალიას. ამ ეჭვს კიდევ უფრო აძლიერებს სარბიელის კომენტარი: „დ. კვინიკაძე — შესაშური დიპლომატიის პატრონი, უდავოდ ძლიერი პიროვნება, ამ ბრძოლაში ჯერაც გაუშიფრავი რჩება. მან ზედმიწევნით კარგად იცის ფარული ბრძოლის წესები" (სარბიელი, 22.07.1998).

გარემოება მეორე. ბატონი გენერალური მდივანი სფფ-ს ურჩებს აფრთხილებს, „ჩვენი თამაში უნდა ითამაშონ, თორემ..." 11X11,23.05.1998.

გარემოება მესამე. ბატონი გენერალური მდივანი მწიგნობარი კაცი და თურმე „ბრაჰმან დანდამისის დიდი ტრფიალი გახლავთ. დანდამისი სოკრატეს, პითაგორას და დიოგენეს შესახებ ბრძანებდა, ეს ვაჟკაცები მეტისმეტ თაყვანს სცემდნენ კანონებსო". (ვ.ჩ. გამოუქვეყნებელი წიგნიდან).

გარემოება მეოთხე. ფკ მრეტები თბილისს და მისს დამფუძნებლებს, 1990 წლიდან დღემდე პერიოდში, არაერთგზის შეუნიშნავს სფფ-სთვის, რომ სფფ-ს წევრმა კლუბებმა „სფფ-ს თამაში" კი არა, ფეხბურთი უნდა ითამაშონ და მხოლოდ კლუბი — ეროვნული ფედერაცია — კონფედერაცია — ფიფა-ს ინსტიტუტების წეს-კანონების მიხედვით.

ძნელი გასაშიფრია, „ფარული ბრძოლის დიდოსტატს, რესპუბლიკისსაფეხბურთო სამყაროს პირველ ფუნქციონერს" (გარემოება პირველი), ურჩთა მოძულეს (გარემოება მეორე) და დანდამისის ტრფიალს (გარემოება მესამე), ბატონ გენერალურ მდივანს რომელ სიაში ჰყავს „მრეტები" (გარემოება მეოთხე), შავურჩთა სიაში თუ თეთრ კანონის თაყვანისმცემელთა სიაში!

საბოლოო ჯამში, ჩვენი აზრით, დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, თუ რომელი კლუბი რომელ სიაში მოხვდება, რადგან ზემოაღნიშნულ საკითხზე ბატონ ნოდარ ახალკაცს, ბატონ ვაჟა ჩხაიძეს და ბატონ დავით კვინიკაძეს შორის პაექრობა ასე დამთავრებულა (ვ.ჩ. გამოუქვეყნებელი წიგნიდან):

„ნოდარ ახალკაცი: სოკრატეს დროს ფეხბურთს არ თამაშობდნენ!

ვაჟა ჩხაიძე: პელე და მარადონა დახაზულ მოედანზე იბადებიან!

დავით კვინიკაძე: ამას წინათ თეთრი და შავი ცხვრის ანეგდოტი მიამბეს..."

ღმერთმა ხელი მოუმართოს ყველა დიპლომატ ხელმძღვანელს, თუ მისი გონება ერის მიერ მისთვის მინდობილი საქმის სიყვარულით არის განმსჭვალული და არ ირღვევა კანონები. და არ იჩაგრება კანონიერი ინტერესები.

მაგრამ ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალურ მდივანს ნამდვილად არ ეკადრება ასეთი განცხადებები:

„პირიქით, ჩემი და მთლიანად სფფ-ს სურვილია ამ საქმეში ქართულმა ფეხბურთმა გაიმარჯვოს, თუმცა „მრეტების" მხარეს, ჯერჯერობით, უფრო დამაჯერებელი ფაქტები მოჰყავს, საქმესაც უფრო სოლიდურად წარმართავს". 11X11. 18.05.1998.

„ასე გაწირეს საბჭოთა საქართველოში თბილისის და კუთხეების ყველა გუნდი და ქართული ფეხბურთი თავკომბალას დაამსგავსეს. დღეს კი ერთი გუნდის ჩემპიონატი უკვირთ.

სამწუხაროდ, კვლავ გრძელდება „ერთის მრავალფეროვნების" ქართული პრინციპის მისთვის დამღუპველი „ერთის ერთადერთობის" პრინციპით ჩანაცვლების პროცესი. (ვ.ჩ. გამოუქვეყნებელი წიგნიდან).

აქვე უნდა ითქვას, 1994 წელს გაცემულ ცნობებსა და რეკომენდაციებში სფფ და ბატონი გენერალური მდივანი სულ სხვანაირად წერდა მრეტების შესახებ დასავლეთ ევროპულ და ამერიკელ ბიზნესმენებს (ერთვის წერილი და ცნობა):

„ფკ მრეტების დაკარგვა, ისიც დროებითი ფინანსური სიძნელეების გამო, დიდი დანაკლისი იქნება არა მხოლოდ ქართული ფეხბურთისათვის. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გთხოვთ მხარში დაუდგეთ ფკ მრეტებს: გაუწიოთ ფინანსური დახმარება და/ან მისცეთ კრედიტი და/ან შექმნათ ერთობლივი კლუბი..." სფფ-ს 08.04.1994, №03/82 მიმართვა ფკ იგელზის/აშშ სპონსორის ამერიკელი ბიზნესმენის ბატონ ბილ შუბინისადმი.

იმ დროს სფფ-ს და ბატონ გენერალურ მდივანს არც იმაში ეპარებოდათ ეჭვი, „დინამო" რომ „დინამო" იყო! „მრეტები" რომ „მრეტები" იყო! ვაჟა ჩხაიძე რომ ვაჟა ჩხაიძე იყო და არა საერთაშორისო აფერას მაესტრო!

ჩვენ ვფიქრობდით ამჯერად იქნებ სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტისათვის ბატონი ნოდარ ანდრიაძისთვის მიგვემართა, რადგან საკითხთან დაკავშირებით მისი განცხადებები თავიდანვე სამართლიანი იყო და ასეა დღესაც („დინამოს" საბუთებში „ხელმოსაჭიდი არაფერი ჩანს" 11X11. 08.06.1998), მაგრამ ბატონი ვიცე-პრეზიდენტი ამაზე შორს არასოდეს მიდის.

ამდენად, საკითხზე სფფ-ს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, ჩვენ სხვა ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ პირადად თქვენ მოგმართოთ, დიდად პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო, აღარ დაგვრჩა. თუმცა ეს ჩვენთვის ადვილი საქმე არ გახლავთ, რადგან, ერთის მხრივ, ჩვენ თქვენი, როგორც ფეხბურთელის, დიდი თაყვანისმცემელი გახლავართ, რის გამოც დღემდე ყოველნაირად გერიდებოდით, ხოლო მეორეს მხრივ, სრულიადაც არ გვხიბლავს თქვენი, არც როგორც ვიცე-პრეზიდენტის და არც როგორც პრეზიდენტის, სრულიად პასიური პოზიცია ზემოაღნიშნული საკითხის მიმართ. მითუმეტეს არ გვახარებს ფაქტი, რომ ქართული პრესა, სფფ-ს პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატს, ასევე სფფ-ს პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატთან, ფკ დინამო თბილისის პრეზიდენტთან წინასაარჩევნო ალიანსში მოგიხსენიებთ.

გულწრფელად უნდა მოგახსენოთ, რომ არჩევნებში თქვენი, ასე ვთქვათ, ტანდემის გამარჯვების შემთხვევაში, ფკ მრეტები თბილისის მსგავსი ცივილიზებული მენტალიტეტის კლუბებს სფფ-სთან ელემენტური ურთიერთობის საშუალება არ ექნებათ. თვად განსაჯეთ, რა ენაზე უნდა იურთიერთოს სფფ-ს წევრმა კლუბმა სფფ-სთან, ფიფა — კონფედერაცია — ეროვნული ასოციაციის ინსტიტუტის წეს-კანონების ენაზე თუ ქუჩის ენაზე? აი, კიდევ ერთხელ და ამჯერად ერთად გადავხედოთ ქართულ პრესას და თქვენ თავად განსაჯეთ (ლელო, 27.30.12.1997; 11X11. 31.12.1997):

„ახლა ასეთ კითხვას დაგისვამთ — ერთ მხარეს რომ ახალკაცი და ჟორდანია იდგნენ, მეორეზე კი აუგსბურგი და ვინმე ბოიმელი, როგორ ფიქრობთ, რომელი მოერევა?"

„ნებისმიერ შემთხვევაში გვერდზე უნდა დაგვედგომოდნენ — არ არის დინამო მართალი, მინდა, რომ იყოს! შენ გადამთიელი ხარ და არ გაძლევ ფულს".

„თუ ახალკაცი ჩემს პოზიციაზე დადგება, შევძლებთ ამ საქმის მოგებას".

და ეს „საქართველოს გამარჯვება იქნება"-ო!

ჰოდა ამის შემდეგ თქვენ ევროპა და უცხოური ინვესტიციები გსურთ?!

დიახ, დამნაშავე „დინამო" საქართველოა, მართალი „მრეტები" — გადამთიელი!

დიახ, ერთი ჟორდანია ქართულ ფეხბურთს აშენებდა, მეორე — ანგრევს!

დიახ, ერთი ქართველი ევროპის გამყოფ კედელს ანგრევს, მეორე - ამ კედლის ხელახლა აშენებას ცდილობს!

დიახ, არა მხოლოდ პიროვნულ მასშტაბებშია განსხვავება.

აღნიშნულის გამო, ჩვენ დღეს თქვენ გთხოვთ პასუხს, რადგან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავკაცი დღეს თქვენ ბრძანდებით.

დიახ, ის თავკაცი, ვისთანაც საშამ — მსოფლიო არენაზე ასპარეზობისას ჩადენილი ერთი უნებლიე შეცდომისათვის მოწინააღმდეგის მთელ გუნდს მარტო რომ უსწორებდა ანგარიშს — პირწმინდად წააგო.

დიახ, დიდი ლიბერო პატარა თამაშს — „სფფ-ს თამაშობანას" თამაშობთ. ყველაზე კარგ შემთხვევაში, თქვენ თვალხუჭაობანას თამაშობთ.

ჩვენ ხაზს ვუსვამთ, ფკ მრეტები თბილისის პარტნიორთა საბჭო მოგმართავთ საკითხზე სფფ-ს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით — ქართული ფეხბურთისა და ქვეყნის წინაშე.

დიახ, სფფ-ს გამოისობით, საკითხი უკვე გასცდა ფეხბურთის საზღვრებს.

### სფფ-ს თამაში—98

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ფიფა-ს 16.04.1998 დირექტივა მკაცრი გამოდგა — თუ საკითხი 15.05.1998-მდე არ მოგვარდება, საქმეს გადავცემთ ფიფა-ს ალმასკომს მოთხოვნით, რომ თქვენი კლუბის და თქვენი ფედერაციის მიმართ საჭირო ღონისძიებები განახორციელოსო.

ფკ დინამო თბილისმა ბოლო ნაბიჯი გადადგა — ზემოაღნიშნულ საკითხზე სარჩელი შეიტანა სამოქალაქო სასამართლოში, რითაც დაარღვია ფიფა — სფფ-ს წეს-კანონები, ფიფა-ს შესაბამისი დირექტივები, სფფ-ს 1.09.1996 დადგენილების მე-4 მუხლი:

„ფკ დინამო თბილისსა და ფკ მრეტები თბილისს ურთიერთშორის საკამათო საკითხების სამოქალაქო სასამართლოსათვის გადაცემა სფფ-ს წესდების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად ჩაეთვლებათ სფფ-ს წესდების უხეშ დარღვევად. ასეთ შემთხვევაში მათ მიმართ გამოყენებულ იქნება შესაბამისი დისციპლინარული სანქციები".

სფფ შესანიშნავად იცის, რომ იგი ვალდებულია ფკ დინამო თბილისის მიმართ შესაბამის სანქციებს მიმართოს, თან 15.05.1998-მდე. საკითხის საბოლოო გადაწყვეტის აუცილებლობის წინაშე დამდგარმა სფფ-მ შემდეგ ტაქტიკურ სვლას მიმართა.

ბატონმა გენერალურმა მდივანმა თავისი 8.05.1998 ინტერვიუში საჯაროდ უკარნახა ფკ დინამო თბილისს: დინამოს შეეძლო სარჩელი შეეტანა ალმასკომის გადაწყვეტილებაზე, მაგრამ ეს დღემდე არ გაკეთებულა". რეზონანსი, № 122.

დიახ, სფფ-სთვის ცნობილია, რომ ფკ მრეტები თბილისმა, მით უფრო ფიფა-მ შესანიშნავად იცის აპელაციის პროცედურის შესახებ — სფფ-ს საგანგებო კომიტეტის 1.09.1997 დადგენილება ეს იგივე სფფ-ს ალმასკომის დადგენილებაა, რადგან სფფ-ს საგანგებო კომიტეტს ირჩევს სფფ-ს ალმასკომი სწორედ სფფ-ს ალმასკომში აპელაციის შემთხვევაში და იგი ეროვნული მასშტაბით საბოლოოა.

დიახ, სფფ-მ შესანიშნავად იცის ეს და სწორედ ამიტომ სფფ-ს ტერმინი „აპელაცია" „სარჩელით" შეცვალა (თითქოსდა ეს ერთი და იგივე არ იყოს) და რა საჭირო იყო სამოქალაქო სასამართლო, რასაც ფიფა კრძალავს, სარჩელის შემოტანა ხომ სფფ-შიც შეიძლებოდაო.

ამ მაგიური რჩევის საფუძველზე „დინამომ" იმავე დღესვე (!) მიმართა სფფ-ს გენერალურ მდივანს, სფფ-ს გენერალურმა მდივანმა იმავე დღესვე (!) მიმართა სფფ-ს ალმასკომს, სფფ-ს ალმასკომმა იმავე დღესვე (!) კვლავ განიხილა საკითხი, კვლავ მოუსმინა „დინამოს", რომელმაც აუხსნა ალმასკომის წევრებს, ნუ გეშინიათ, ფიფა თანხის გადახდას არ ითხოვსო და ა.შ., რალაც „ახალ საბუთებს" შეპირდა მათ და სამოქალაქო სასამართლოში მიიპატიჟა ისინი! ახალი თაობა, 9.05.1998.

სფფ-ს ალმასკომის სხდომის შემდეგ: 11X11 (9.05.1998): „ფიფა-ს წესდება სამოქალაქო სასამართლოში ჩივილს კრძალავს".

ფკ დინამო თბილისის პრეზიდენტი: „სამოქალაქო სასამართლოში არ გვიჩივლია".

ფკ დინამო თბილისის ვიცე-პრეზიდენტი: „იურისტების მონაცემებით კონტრაქტში არსებობს სამოქალაქო და კონსტიტუციური დარღვევები. ამიტომ შევიტანეთ სარჩელი სასამართლოში".

თავადაც კარგად იციან, სახიფათო თამაშს რომ თამაშობენ. მათზე უკეთ კი სფფ-მ იცის ეს.

ამასობაში ვადა ამოიწურა. სფფ-ში რეკავს ფიფა, ითხოვს პასუხს. სფფ რამდენიმე დღეს თხოვს ფიფა-ს „სრულიად ახალ საბუთებში გასარკვევად". მაგრამ რამდენიმე დღე საკმარისი არ არის. ან რა უნდა უყონ აკრძალულ საკითხზე ფკ დინამო თბილისის მიერ სამოქალაქო სასამართლოში სარჩელის შეტანის ფაქტს?! ფკ მრეტები თბილისი ხომ დაწერილებით ინფორმაციებს აწვდის ფიფა-ს.

და იმავე დღესვე სფფ-ს გენერალური მდივანი, როგორც 11X11 წერს, საკუთარი ინიციატივით მიდის რედაქციაში ინტერვიუს მისაცემად. 11X11. № 65. 18.05.1998.

დ. კვინიკაძე: „დინამოს ახლანდელი ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ 1992 წელს კლუბის სათავეში სხვები იყვნენ და ახლანდელი კლუბი მაშინდელის სამართალმემკვიდრე არ არისო და ამიტომაც მიაჩნიათ, რომ თანხა მათი გადასახდელი არაა. ჩემს კომპეტენციაში არ შედის აღნიშნული სამართალმემკვიდრეობის დადგენა. ეს საქმე სხვაადგილას, იურიდიულ სიბრტყეშია გადასაწყვეტი". 11X11, 18.05.1998.

დიახ, კვლავ მაგიური კარნახი!

ფკ დინამო თბილისის პრეზიდენტი: „არაერთხელ განვაცხადეთ, რომ ძალზე სერიოზული არგუმენტები გვაქვს იმისათვის, რომ ჩვენის მხრიდან არ მოხდეს თანხის გადახდა. ჩვენ არ ვართ იმ ხალხის მემკვიდრე, რომლებმაც თავის დროზე ქინქლაძის ტრანსფერთან დაკავშირებით „მრეტებთან" კონტრაქტი გააფორმეს. კომისიაში, რომელიც ამ საკითხზე მუშაობს, საქმეს ძალზედ სერიოზულად ეკიდებიან. დარწმუნებული ვარ, ამ ფაქტორს გაითვალისწინებენ და დინამო გამარჯვებული დარჩება. განვმეორდები და ვაცხადებ, ჩვენ არანაირად არ ვთვლით თავს იმ ხალხის სამართალმემკვიდრედ". 11X11, 19.06.1998.

დიახ, სფფ-მ მიაგნო საჭირო მოტივაციას (თუმცა სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი ბატონი ნოდარ ანდრიაძე არ იზიარებს ამ აზრს: „მათ საბუთებში ხელმოსაჭიდი არაფერი ჩანს". 11X11, 08.06.1998):

მართალია, ფკ დინამო თბილისმა სამოქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი, მაგრამ ეს მხოლოდ სამართალმემკვიდრეობის (უფლებამონაცვლეობის) გარკვევის მიზნით. სამართალმემკვიდრეობის საკითხი კი სფფ-ს კომპეტენციაში არ შედის, იგი „იურიდიულ სიბრტყეშია გადასაწყვეტი" ანუ სამოქალაქო სასამართლოში. და თუ სამოქალაქო სასამართლო გადაწყვეტს, რომ „დიდი დინამო" 1992 წლიდან აღარ არსებობს, რა თქმა უნდა, გადასახდელიც აღარაფერი ექნება.

და როგორც სფფ-ს გენერალურმა მდივანმა მისი ინტერვიუთი გაოცებულ მრეტებს განუცხადა, სფფ-მ ფიფა-ს ტელეფაქსით თხოვა, რათა ფიფა-მ ადროვოს სფფ-ს თავისი გადაწყვეტილებების შესრულება, რადგან ირკვევა ფკ დინამო თბილისის სამართალმემკვიდრეობის საკითხი.

ფიფა იძულებულია დააკმაყოფილოს სფფ-ს თხოვნა.

ჩვენ, თავდაპირველად, ვფიქრობდით, ფკ მრეტები თბილისი ადვოკატების საშუალებით წარმდგარიყო ამ სასამართლო პროცესზე, მაგრამ შემდგომ, ჩვენი ადვოკატების რჩევით, ამაზე უარი განვაცხადეთ. ამის შესახებ ჩვენ ვაცნობეთ კიდეც სფფ — ფიფა-ს 19.06.1998 ტელეფაქსით, სადაც დასკვნის სახით აღვნიშნავდით:

„ამდენად, დღეიდან, ფკ მრეტები თბილისი ამ სასამართლო პროცესზე, როგორც მოპასუხე, მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოცხადდება ამ სასამართლო პროცესზე — კანონი ერთია ყველასთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფკ დინამო თბილისთან ერთად, ფკ მრეტები თბილისიც დაისჯება სფფ — ფიფა-ს მიერ".

ერთი სიტყვით, როგორც ვნახეთ, სფფ-მ ფიფა-ს 16.04.1998 დირექტივა და შესაბამისად, ეს ეტაპიც გაიარა: ჯერ ფიფა-ს არჩევნები მოდის, შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატი, შემდეგ სფფ-ს არჩევნები და ამ საქმისთვის ვისღა ეცლება. შემდეგ კი საქართველოს ჩემპიონატიც დაიწყება და...

და ამ დროს ფკ დინამო თბილისის სასარჩელო განცხადებაში სამართალმემკვიდრეობის/უფლებამონაცვლეობის საკითხზე სიტყვაც არ არის დაძრული! დიახ, ყალბი ინფორმაცია წავიდა ფიფა-ში!

ჩვენ ხელთა გვაქვს სასარჩელო განცხადება, რის მიხედვითაც მოპასუხე მხარეები არიან ფკ მრეტები თბილისი და სფფ, ხოლო მოსარჩლე მხარე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამოქალაქო სასამართლოს მიმართავს მხოლოდ ერთადერთი თხოვნით:

„გთხოვთ, განიხილოთ წინამდებარე სარჩელი და საქართველოს სს კოდექსის 55-ე და 56-ე მუხლების შესაბამისად ბათილად ცნოთ მოტყუებისა და ცდომილების ზეგავლენით 11.07.1992 კონტრაქტში შეტანილი სადავო მე-3 მუხლი, ამასთან ერთად, გააუქმოთ სადავო მე-3 მუხლზე დაყრდნობით გამოტანილი სფფ-ს საკონფლიქტო საკითხთა კომიტეტის 2.01.1997 დადგენილება".

ეს კი ფიფა — სფფ-ს მიერ აკრძალული ხილი გახლავთ და მკაცრად სასჯელს იმსახურებს.

ან კი ვინ დაიჯერებს ამ გაუგონარ სიცრუეს, რომ თვალსა და ხელს შუა გაქრა „დიდი დინამო" და ამის შესახებ დღემდე არავის არაფერი სმენია! არც გულშემატკივარს! არც ჟურნალისტებს! და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც სფფ!

მაგრამ ამას სფფ-სთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს — სამოქალაქო სასამართლო „გააქრობს დიდ დინამოს" და არა სფფ! შესაბამისად, „ახალ დინამოს" აღარაფერი აღარ ექნება გადასახდელი. შესაბამისად, სფფ-ც აღარაფერ შუაში იქნება.

და ფკ დინამო თბილისის ხელმძღვანელობა გამარჯვებულის ტონით (სასამართლოში ხომ მათ პრობლემები არ აქვთ!) აცხადებს:

„ჩვენ ერთხელაც ვაცხადებთ, რასაც სასამართლო გადაწყვეტს, რა განაჩენსაც გამოიტანს, იმას დავემორჩილებით". სარბიელი, 28.06.1998.

მაგრამ ფკ მრეტები თბილისის მიერ სფფ — ფიფა-ში გაგზავნილი ფაქსი თავდაყირა აყენებს ამ გეგმებს:

ვინაიდან კლუბის სპორტული მემკვიდრეობის (სპორტული ტიტულები, ლიგებში ადგილები და ა.შ.) გაყიდვა, გაჩუქება და ა.შ. არ შეიძლება და იგი კლუბიდან კლუბს გადაეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი კლუბი მეორე კლუბის სამართალმემკვიდრე (უფლებამონაცვლე) ხდება, ამდენად, „დღევანდელ" ფკ დინამო თბილისს, 1992 წლიდან დღემდე სფფ — უეფა — ფიფა-ს და მთელი მსოფლიოს მოტყუებისათვის, მთლიანად ჩამოერთმევა „ძველი დინამოს" სპორტული მემკვიდრეობა, ლიგაში ადგილი, 1992 წლიდან უეფა-ს და ფეხბურთელების ტრანსფერის საშუალებით მიღებული თანხები! და თუ საერთოდ მისცემენ ფეხბურთის თამაშის უფლებას, მაშინ მან თამაში ყველაზე ქვედა ლიგიდან უნდა დაიწყოს! ხოლო მის დღევანდელ ხელმძღვანელობას აეკრძალება ფეხბურთში მუშაობა! დასჯას ვერც სფფ გადურჩება! რაც შეეხება ფკ მრეტები თბილისს, ასეთ შემთხვევაში, „სადავო" ტრანსფერის თანხას მთლიანად ფკ მრეტები თბილისი მიიღებს!

შესაბამისად, ფიფა-დან ახალი 6.07.1998 დირექტივა მოდის — საკითხის გადაჭრის საბოლოო ვადაა 31.08.1998. წინააღმდეგ შემთხვევაში ფკ დინამო თბილისის და სფფ-ს საკითხს ავტომატურად განიხილავს ფიფა-ს ალმასკომის სექტემბრის სხდომა.

და ჩვენ ვფიქრობდით, რომ 13.07.1998-სთვის დანიშნული სამოქალაქო სასამართლო სხდომა და საერთოდ ეს სასამართლო პროცესი არ შედგებოდა, რადგან ფკ დინამო თბილისი, როგორც სასარჩელო განცხადებით გათვალისწინებული საკითხის, ისე უფლებამონაცვლეობის საკითხის დაყენების შემთხვევაში სფფ — ფიფა-ს მხრიდან დასჯას ვერ ასცდებოდა.

მაგრამ ცაიტნოტში მოხვედრილი ფკ დინამო თბილისის მოქმედებათა პროგნოზირება ჩვენთვის შეუძლებელი აღმოჩნდა...

და აი, 13.07.1998-სთვის დანიშნული სამოქალაქო სასამართლო სხდომის დღეც დადგა. „მრეტებიდან" მიღებულმა ფაქსმა შემდეგი გვამცნო:

„გაიმართა სასამართლო. სფფ არ გამოცხადდა. შესაბამისად, მრეტები სხდომას დაესწრო არამოპასუხის როლში. დინამოს მხარე წარმოადგინა ადვოკატმა ხუციშვილმა. მან გააკეთა „მრავალგვერდიანი მოხსენება": ამტკიცებდა რამდენიმე მრეტების არსებობას; ამტკიცებდა რამდენიმე დინამოს არსებობას (მოსამართლემ შეაჩერა: „გეყოფა, სად გაქრა ის „დინამო"?); მოითხოვა 11.07.1992 ტრანსფერის კონტრაქტის გაუქმება; მოითხოვა სფფ-ს 2.01.1997 დადგენილების გაუქმება; მოითხოვა სფფ-ს გენერალური მდივნის პასუხისმგებლობაში მიცემა.

სასამართლომ მოისმინა ერთი მხარის (დინამოს) მოთხოვნები და გამოიტანა გადაწყვეტილება:

1. გაუქმდეს 1992 წლის 11 ივლისის ტრანსფერის კონტრაქტი.

2. გაუქმდეს სფფ-ს 1997 წლის 2 იანვრის დადგენილება.

გაუქმების მოტივაციები არ უთქვამთ (!) — ამას ჩვენ მერე დავწერთო.

წერილობით გადაწყვეტილებას ერთ კვირაში მოგცემთო..."

დიახ, დღეს უკვე ყველასთვის ნათელი უნდა იყოს, თუ სადამდე მიგვიყვანა „სფფ — დინამოს" ე.წ. ეროვნულმა თამაშმა! ურწმუნო თომებს კი ვურჩევთ გააგრძელონ წერილის კითხვა.

გაგრძელება ხვალინდელ „სარბიელში"

# მაიკლი, მეტსახელად რონალდო

...მე-16 წუთი კი მიმდინარეობდა, მაგრამ ანგარიში უკვე 1:1 იყო. მეტად დაძაბული შეხვედრა გახლდათ და ამავდროულად ლამაზი სანახავიც. სწორედ იმ დროს, როცა კარლოს რუას კარს საფრთხე არ ემუქრებოდა, ანგარიში შეიცვალა — ინგლისელმა ყმაწვილმა მაიკლ ოუენმა ბურთის ფლობის შესანიშნავი უნარი გამოავლინა, ორ არგენტინელ მეტოქეს გაცდა და მეორე ბურთი გააზვია არგენტინელთა კარში. ინგლისი დაწინაურდა 2:1.

ის მატჩი საბოლოოდ არგენტინელთა გამარჯვებით დასრულდა. მეოთხედფინალშიც სამხრეთამერიკელები გავიდნენ,




სარბიელის არქივიდან

მაიკლ ოუენის (მარცხნივ) რუმინელებთან გატანილმა ამ გოლმა, ისევე როგორც არგენტინელებთან შეგდებულმა ბურთმა, ინგლისს ვერ მოაგებინა

მაგრამ აქ მთავარი დანიელ ალბერტო პასარელას გამარჯვება კი არა, არამედ ისაა, რომ სწორედ ზემოაღწერილი გოლის შემდეგ შეარქვეს მაიკლ ოუენს ინგლისელი რონალდო.

ერთ წელიწადში პატარა თავდამსხმელმა, 18 წლის ჭაბუკმა ელვის სისწრაფით გაიარა გზა „ლივერპულის" სათადარიგო მოთამაშიდან ნაკრების თავდამსხმელამდე. ამ დროის განმავლობაში მაიკლმა უამრავ ქომაგს შეაყვარა თავი, მაგრამ არგენტინელთა გატანილი გოლით გამოწვეული რეზონანსი მაინც სხვა იყო — პატარა ლივერპულელი საქვეყნოდ აღიარეს, ინგლისში კი:

— დღესდღეობით ოუენი რონალდოს არ ჩამოუვარდება. ორივე უძლიერესი თავდამსხმელია და მიუხედავად იმისა, რომ გენიალური ბრაზილიელი 22 წლისაა, მაიკლი კი მხოლოდ 18-ის, ისინი თანაბარი დონისანი არიან. დარწმუნებული ვარ, ერთ-ორ წელიწადში ოუენი რონალდოს აჯობებს — ბევრს შეიძლება „ლივერპულის" კაპიტნის პოლ ინსის სიტყვები გადამეტებულად მოეჩვენოს, მაგრამ თავად ინსს სჯერა, რომ ოუენის სიძლიერეს სულაც არ აზვიადებს.

ორი წლის წინ მაიკლ ოუენის შესახებ არათუ მილიონობით გულშემატკივარმა, ინგლისის ნაკრების მწვრთნელებმაც არაფერი უწყოდნენ. პირველად ჭაბუკი 1997 წლის გაზაფხულზე, პრემიერლიგის მიწურულს გამოჩნდა „ლივერპულში" და სადებიუტო მატჩში გოლიც შეაგდო, თუმცა იმ სეზონში მეტი ვერაფერი მოახერხა, აი, გასრულებულ ჩემპიონატში კი იგი ნამდვილ აღმოჩენად იქცა — 18 წლის თავდამსხმელი ბომბარდირი გახდა, ამასთანავე უამრავი სხვა ჯილდოც მოიგო, თუმცა უმთავრესი, რასაც მაიკლმა მიაღწია, ის იყო, რომ ნაკრებში დაიბევა ადგილი.

— ჯერ ყველაფერი წინ მაქვს. ასე მცირე დროში ამხელა წარმატება თავბრუდამხვევი კია, მაგრამ მეტი მსურს. ჩემს ასაკში ბევრს მეტისთვისაც მიუღწევია და არ გადიდგულებულა, ასე რომ, გაყოყოჩება არც მე მმართებს. ძალიან მინდა, მსოფლიოს ჩემპიონი გავხდე, საამისოდ კი ძალას არ დავიშურებ — როგორც ჩანს, არც თავად მაიკლი დაკმაყოფილდება მიღწეულით — სადაც 18 წლისამ ამდენი შეძლო, წინსვლა და საფეხბურთო მწვერვალების დაპყრობა არ უნდა დაიზაროს.

წინ მორიგი სეზონია, ამას შემდეგი მოჰყვება, მერე კიდევ მომდევნო იქნება და ასე გაგრძელდება. მაიკლსაც იმის მტკიცება მოუწევს, რომ ძლიერი თავდამსხმელია, ხოლო ის, რომ ჯერ კიდევ ყმაწვილი ინგლისის ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა, უკვე მიუთითებს იმაზე, რომ ინგლისელთა იმედისთვის ღმერთს ნიჭი და ბრძოლის უნარი უხვად მიუმადლებია.

ახალი ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღეღა დარჩა, ამ უქმეებზე კი მაიკლმა მსოფლიოსჩემპიონატისშემდგომი პირველი გოლიც გაიტანა — „კარლსბერგის" თასის ოთხთა ტურნირის ფინალში მისმა „ლივერპულმა" „ლიდს იუნაიტედს" 2:0 მოუგო, მეორე ბურთი სწორედ მაიკლმა შეაგდო.

გუშინ მას პირველად მიეცა შანსი, რონალდოს დაპირისპირებოდა, მაგრამ... ლივერპულელები „ენფილდ როუდზე" „ინტერს" მასპინძლობდნენ, უეფას თასის მფლობელ კლუბს, რომელიც ინგლისს რონალდოს, რობერტო ბაჯოს და კიდევ რამდენიმე ვარსკვლავის გარეშე სწვეოდა.

## კაიზერს კვირაში ცხრა პარასკევი აქვს

სუპერლიგის შექმნა კვლავ ცხარე კამათს იწვევს. აღმოჩნდა, რომ ამ იდეას უამრავი მომხრე და მოწინააღმდეგე ჰყავს. ერთ-ერთი უდიდესი ძალა, რომელიც ირწმუნება, რომ ამ ლიგის დაარსება, უარყოფითად იმოქმედებს საერთოდ ფეხბურთის განვითარებაზე, ინგლისის პრემიერლიგაა. ორშაბათს მისმა წარმომადგენლებმა ქვეყნის წამყვან კლუბებს წერილობითი დასტური მოსთხოვეს იმის თაობაზე, რომ ისინი სუპერლიგაში არ ითამაშებენ: „გუნდებისგან მივიღეთ ოფიციალური, წერილობითი ცნობები, სადაც ნათქვამია, რომ ისინი უარს ამბობენ ამ წამოწყებაში მონაწილეობაზე. ჩვენ კვლავ გავაგრძელებთ ამაზე მუშაობას. ევროტურნირებმა ადრინდელი სახე უნდა შეინარჩუნოს, ეს ევროპულ საკლუბო ფეხბურთს გაცილებით მეტ სიკეთეს მოუტანს" — წერია განცხადებაში. თავისი აზრი ამ საკითხზე სუპერლიგის პრეს-ატაშემ მაიკ ლიმაც გამოთქვა: „ჩვენ გადაწყვეტილება მივიღეთ და ამის შესახებ უეფასაც ვაცნობეთ. თუმცა ამით ეს პრობლემა არ გადაჭრილა და კონსულტაციებს უეფაში კვლავ გავაგრძელებთ".

შეგახსენებთ, რომ სუპერლიგაში მოხვედრის ყველაზე რეალურ კანდიდატებად ინგლისური ფეხბურთის გრანდები — ჩემპიონი და თასის მფლობელი ლონდონის „არსენალი", ვიცე-ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ლივერპული" ითვლებოდნენ, მაგრამ მათმა წარმომადგენლებმა და ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადეს, რომ თუ ეს და ქვეყნის სხვა წამყვანი კლუბები შეუერთდებიან სუპერლიგას, მაშინ იგი მთელ ყურადღებას მიიპყრობს, შედეგად კი ჩემპიონატი და თასის გათამაშება ინტერესს დაკარგავს, რაც მთლიანად ინგლისურ ფეხბურთს აზარალებს.

საოცარია, მაგრამ უარყოფითი დამოკიდებულება გერმანული გრანდის მიუნხენის „ბაიერნის" პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმაც გამოხატა, სწორედ იმან, ცოტა ხნის წინ საპირისპიროს რომ ამტკიცებდა: „მისი შექმნა მავანთა ფანტაზიის ნაყოფად მიმაჩნია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩემპიონთა ლიგა გარდაქმნას მოითხოვს. უეფა ასე უმოქმედოდ არ უნდა შეჰყურებდეს მოვლენებს, წინააღმდეგ შემთხვევაში სუპერლიგა შეიძლება რეალობად იქცეს". თუმცა „კაიზერ ფრანცს" არ დაუკონკრეტებია, რა ღონისძიებების განხორციელება მართებს ევროპის უპირველეს საფეხბურთო ორგანიზაციას. „გაუმართლებლად მიმაჩნია მხოლოდ ევროლიგაში თამაში, გუნდი უპირველეს ყოვლისა საკუთარ ჩემპიონატში უნდა მონაწილეობდეს" — ესეც ბეკენბაუერის სიტყვებია.

ასე რომ, ინგლისელებმა და გერმანელებმა, ფაქტობრივად, თქვეს თავიანთი სათქმელი — მათ სუპერლიგის შექმნის პერსპექტივა არცთუ ძლიერ ხიბლავთ. მათგან განსხვავებით, იტალიისა და ესპანეთის წამყვანი კლუბები ამ იდეას ემხრობიან, მაგრამ ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერია.

# ზეგ შვიდია

არაა გამორიცხული, პოლონეთმა ევროპის შესარჩევ ტურნიში არ ითამაშოს, ხოლო კლუბებმა ევროთასების გათამაშებაში ვერ იასპარეზონ.

ფიფას დეკლარაციაში გარკვევით წერია, რომ მასში შემავალი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია ემორჩილება მხოლოდ და მხოლოდ ფიფას და განმგებელ კონფედერაციას და სხვას არავის, თუნდაც ქვეყნის მმართველ ორგანოს. პოლონეთში, როგორც ჩანს, ეს დაავიწყდათ — პოლონეთის სპორტისა და ტურიზმის მინისტრმა მარეკ ძებსკიმ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მარიონ ჯიუროვიჩი და სხვა თანამდებობის პირები გაათავისუფლა, რასაც ფიფას სათანადო რეაქცია მოჰყვა — პოლონეთის ფეხბურთის ფედარაციას უფლება-მოვალეობები შეუჩერდა, მას ყველა პრობლემისა და საკითხის გადასაწყვეტ-შესათანხმებლად 7 აგვისტომდე მიეცა დრო.

შემოდგომაზე პოლონეთის ნაკრები ევროპის 2000 წლის შესარჩევ ტურნირში უნდა ჩაერთოს, რაც შეეხებათ კლუბებს, ლოძის ლკს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო შეხვედრის პირველ ეტაპზე ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედს" უნდა დაუპირისპირდეს, კრაკოვის „ვისლა" და ვარშავის „პოლონია" კი უეფას თასის შესარჩევ წრეში შესაბამისად თურქეთის „ტრაბზონსფორსა" და რუსეთის, კონკრეტულად კი მოსკოვის „დინამოს" შეხვდება. შედგება თუ არა პოლონელთა შეხვედრა მეტოქეებთან, ეს, ალბათ, მალე გაირკვევა, ისე კი საქმეს ჯერჯერობით კარგი პირი არ უჩანს.

რამ გამოიწვია პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის და სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს დაპირისპირება? სპორტის თავკაცებს ეჭვი შეეპარათ პოლონეთის ფეხბურთის მამების პატიოსნებაში და შესამოწმებლად კომისია გაგზავნეს. ამ უკანასკნელთ კი ფედერაციის დავალების შესრულების საშუალება არ მისცეს. ცხადია, მომხადარმა სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს ეჭვი კიდევ უფრო გააღვივა და მათაც, სხვა რომ ვერაფერი მოახერხეს, პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მარიან ჯიუროვიჩი მოხსნეს.

— საკითხი მხოლოდ მაშინ გადაწყდება, თუ ფედერაციის თავკაცები საქმის გამოძიების საშუალებას მოგვცემენ. ამასთანავე მოვითხოვთ, რომ ჯიუროვიჩი თავისი ნებით გადადგეს თანამდებობიდან — სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო უკან არ იხევს, ამასობაში კი ფიფას მიერ მიცემული დრო იწურება. მდგომარეობა უფრო და უფრო იძაბება.

რაიმეს დათმობას და მით უმეტეს, თანამდებობიდან წასვლას არც მარიან ჯიუროვიჩი და ფედერაციის სხვა ჩინოსნები აპირებენ.

— ყველაფერი ზემოდან დაიგეგმა. ვილაც-ვილაცეებს არ მოსწონთ ჩვენი მუშაობა და ახლა შარს გვდებენ. არათუ სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს, არამედ ქვეყნის მმართველ ორგანოსაც არ აქვს უფლება ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაში ჩაერიოს, ესენი კი უცერემონიოდ დაგვადგნენ თავზე და გამოძიება მოითხოვეს. პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციას არაფერი სჭირს შესამოწმებელი და თუ ეჭვი გაჩნდა, არსებობს ფიფა და უეფა, რომლებიც საქმეს სხვების ჩაურევლად მოაგვარებენ — აცხადებს აღშფოთებული ჯიუროვიჩი.

დღეს 5 აგვისტოა. ზეგ ფიფას მიერ პოლონელებისთვის მიცემული დრო იწურება. ვნახოთ, რას გადაწყვეტენ ეჭვმიტანილები.

## ფინალი: კაიზერი — ბაიერნი

გერმანიის ლიგის თასის მფლობელმა მიუნხენის „ბაიერნმა" ახალი გათამაშების ფინალში გაიკვლია გზა. საამისოდ მან ლევერკუზენის „ბაიერს" მოუგო 1:0.

შეხვედრის ერთადერთი გოლი 30-ე წუთზე 25 მეტრიდან ღონიერი დარტყმით ნახევარმცველმა მარიო ბასლერმა გაიტანა. მიუნხელენელთათვის ეს სეზონისწინა შეჯიბრების პირველი მატჩი გახლდათ.

საქმე ისაა, რომ „ბაიერნმა" ექვსგუნდიანი ტურნირის ნახევარფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება ავტომატურად მოიპოვა. გასაგებია რატომაც: იგი, როგორც მოგახსენეთ, გასული გათამაშების გამარჯვებულია.

მეორე ნახევარფინალში ქვეყნის ჩემპიონმა „კაიზერსლაუტერნმა" 2:1 მოუგო „შტუტგარტს" და შაბათს ფინალში „ბაიერნს" შეხვდება.

გამარჯვებული გუნდის სალარო 2,5 მილიონი მარკით ანუ 1,41 მილიონი დოლარით შეივსება.




REUTERS-იდან

ლევერკუზენელი მარსიანო რინკის (მარცხნივ) და მიუნხენელი თომას შტრუნცის საჰაერო ორთაბრძოლა

## შკან, „მილანში"

ახლახან დასრულებულ [illegible] ჩემპიონატზე მშვენივრად მოასპარეზე „მილანისა" და ჰოლანდიის ნაკრების ახალგაზრდა თავდამსხმელ პატრიკ კლუივერტს, რომელმაც სერია A-ში გატარებული შარშანდელი სეზონი იტალიელ გულშემატკივრებთან არცთუ სახარბიელო ურთიერთობის გამო თითქმის ჩააგდო, ბოლო ორი კვირის განმავლობაში რამდენიმე ევროპული კლუბი შეეხმიანა. მათ შორის გამორჩეულად პრემიერლიგის ბინადრები აქტიურობდნენ — „მანჩესტერ იუნაიტედი", ლონდონის „არსენალი" და ასევე დედაქალაქური „ტოტენჰემ ჰოთსფური". თუმცა, გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 22 წლის ფეხბურთელმა ყველა წინადადება უარყო და „მილანში" დარჩენა გადაწყვიტა. მილანური კლუბის პრეს-ატაშემ განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება კლუივერტმა ამსტერდამში მიიღო, სადაც იგი და მისი აგენტი სიგი ლენსი „მილანის" გენერალურ მენეჯერს არიედო ბრაიდას შეხვდნენ. კლუივერტი, რომელიც იტალიურ გუნდში 1997 წლის ზაფხულში გადავიდა ამსტერდამის „აიაქსიდან", ხელფასის ოდნავ მომატებაზე დათანხმდა, მაგრამ დეტალურად ფინანსური მხარის გამოაშკარავებაზე ორივე მხარემ უარი განაცხადა. რაც შეეხება ხელშეკრულების ვადას, იგი არ შეცვლილა და კვლავ 2001 წლის 30 ივნისამდეა გაფორმებული.

ჰოლანდიელი ფორვარდი „მილანის" დანარჩენ ფეხბურთელებს შაბათს შეუერთდება ხორვატ ზვონიმირ ბობანთან და ბრაზილიელებთან — ანდრე კრუზთან და ლეონარდოსთან ერთად.

## ახალგაზრდობა — იმედი ხვალისა!

— „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „ლივერპულზე" უკეთეს მაგალითს ვერსად იპოვით. მიბაძეთ მათ. ჩვენ ინგლისური ფეხბურთის მომავალზე უნდა ვიფიქროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი წყალში ჩაგვეყრება. ახალი სეზონის წინ შემდგარი 52 ტრანსფერიდან 26 არაბრიტანელ ფებურთელებს გაუფორმდათ, ეს კი ახალგაზრდებს გამოცდილების შეძენასა და გამოწრთობაში უშლის ხელს. ასე არ შეიძლება — პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი გორდონ ტეილორი შეშფოთებულია პრემიერლიგაში მოთამაშე უცხოელ ფეხბურთელთა რაოდენობით. მისი თქმით, ლეგიონერები ინგლისური ფეხბურთის მომავლის ჩახშობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენენ.

მართლაც, ორი წელია, პრემიერლიგა გადამთიელებით გაივსო, ხოლო კლუბების მწვრთნელებად უცხოელთა დანიშვნამ სულაც დამღუპველი შედეგი გამოიღო ახალგაზრდა ინგლისელი ფეხუბურთელებისთვის. მაგალითად, „ჩელსისა" და „არსენალის" თავკაცებმა, იტალიელმა ჯანლუკა ვიალიმ და ფრანგმა არსენ ვენგერმა იმდენ თანამემამულესა და უცხოელს მოუყარეს თავი, ორივე ლონდონურ კლუბს ინგლისური პირობითად თუ ჰქვია. „არსენალიც" და „ჩელსიც" ინტერნაციონალური გუნდები გახდნენ, ხოლო ეს უკანასკნელი მალე, ალბათ ვიალის სამმოდ იქცევა — ჯანლუკამ ლამისაა ყველა ბავშვობის მეგობარი თავისთან წაიყვანოს. სწორედ ამის გამო იყო, ნიჭიერი ინგლისელი ნახევარმცველი დენი გრენვილი „ჩელსიდან" „ლიდს იუნაიტედში" რომ გადაბარგდა — თასთა თასის მომგებ კლუბში მისთვის ადგილი არ მოიძებნა.

— მანჩესტერშიც და ლივერპულშიც ფარმ-კლუბებს დიდ ყურადღებას აქცევენ, სხვაგან კი ეს მეტ-ნაკლებად შეიმჩნევა. სწორედ მანჩესტერელებმა აღმოაჩინეს ძმები ნევილები, ბათი, სქოული, ბექემი. ლივერპულელთა დამსახურებაა ის, რომ ჩვენს ფეხბურთს მაიკლ ოუენის სახით კიდევ ერთი ვარსკვლავი შეემატა. მომდევნო თაობაზე უკლებლივ ყველა გუნდმა უნდა იზრუნოს — ეს იმავე გორდონ ტეილორის სიტყვებია.

...ინგლისურ კლუბებში ლეგიონერები 80-იან წლებშიც იყვნენ, თუმცა ისინი ფეხბურთელთა 20-25 პროცენტს შეადგენდნენ. მაშინ ინგლისური ფეხბურთი ადგილობრივ კადრებზე იყო დაფუძნებული, ახლა კი სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა — 90-იანი წლების მეორე ნახევარში უცხოელებმა ლამისაა წალეკონ ინგლისი.

ახალგაზრდა ინგლისელ ფეხბურთელებს სარბიელი ეცოტავებათ. მართლებიც არიან.

# გრეგორის ვერსად დაემალები?

ჟუნინიო ის ბრაზილიელი ვარსკვლავი გახლავთ, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატს მიღმა დარჩა. საფრანგეთის სტადიონებზე თავის გამოჩენაში მას ტრავმამ შეუშალა ხელი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი არსებობა არავის დავიწყებია და აი, ბოლო ცნობათა თანახმად ჟუნინიოს შესაძენად ხელი ინგლისის, კერძოდ ბირმინგემის გუნდმა „ასტონ ვილამ“ გამოიღო.

როგორც ამბობენ, „ვილას“ მწვრთნელმა ჯონ გრეგორიმ გამთამაშებლის შეძენის თაობაზე წამოიწყო საუბარი მადრიდის „ატლეტიკოსთან“. გრეგორი ესპანელებს 12 მილიონ გირვანქას ანუ 20 მილიონ ამერიკულ დოლარს სთავაზობს.

საქმის გასაჩარხად ბირმინგემელი სპეციალისტი ჰოლანდიას, ქალაქ არნჰემს გაემგზავრა, სადაც „ატელტიკო“ სეზონისწინა შეკრებას ატარებს.

თუ გრეგორიმ საწადელს მიაღწია, ჟუნინიო ნაცნობ ადგილს, ინგლისის პრემიერლიგას დაუბრუნდება, სადაც მადრიდში გადასვლამდე „მიდლსბროს“ შემადგენლობაში ასპარეზობდა.

მისი ინგილსიდან ესპანეთში გადაბარგება ერთი წლის წინანდელი ამბავია. შესაძლოა, გაგიკვირდეთ კიდეც, გუნდს, რომელსაც კარგად შეეგუა და მოერგო, ასე უცბათ რატომ სტოვებსო, მაგრამ აქ, როგორც ირკვევა, დიდი როლი მწვრთნელის რადომირ ანტიჩის „ატლეტიკოდან“ წასვლამ ითამაშა. ეტყობა, გრეგორი კარგადაა ჩახედული მადრიდის კლუბის სამზარეულოში.

სხვათა შორის, უეფას თასის გასული გათამაშების მეოთხედფინალში გრეგორის „ასტონ ვილა“ სწორედ „ატლეტიკოსთან“ დამარცხდა.

ასეა თუ ისე, მოლაპარაკებები ჯერ ძალიან ადრეულ ეტაპზეა, მაგრამ თუკი გრეგორის დაჟინების მიხედვით ვიმსჯელებთ, არაა გამორიცხული, ჟუნინიომ მართლაც მოაწეროს „ვილასთან“ კონტრაქტს ხელი.

როგორც ვახსენეთ, „ვილას“ ბრაზილიელის შესაძენად 12 მილიონი გირვანქა აქვს გადადებული, სულ კი სატრანსფერო საქმიანობისთვის კლუბის პატრონებს გრეგორისთვის 15 მილიონი გამოუყვიათ. გამოდის, რომ თუ ჟუნინიოს შეიძენს, სხვათა საყიდლად 3 მილიონიღა დარჩება, მაგრამ გრეგორის სხვა კომბინაციის იმედი აქვს: „მანჩესტერ იუნაიტედს“ თავის ფორვარდს დუაიტ იორკს მიჰყიდის და კიდევ 15 მილიონს მიიღებს.



სარბიელის არქივიდან

ჟუნინიო ჯერჯერობით „ატლეტიკოს“ სამოსშია

# ჰენდრიც ჩაფარი გახდა



REUTERS გლობუსიდან

კოლინ ჰენდრი სამშობლოში დაბრუნებამ ძლიერ გაახარა

შოტლანდიის ნაკრების კაპიტანმა კოლინ ჰენდრიმ პრემიერლიგური „ბლექბერნ როვერსი“ დატოვა და სამშობლოში, კერძოდ, „გლაზგო რეინჯერსში“ გადაბარგდა. ამ კლუბის ხელმძღვანელობამ ერთხელ უკვე სცადა მცველის ხელში ჩაგდება, ეს მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე იყო, მაგრამ „ბლექბერნმა“ სასტიკი უარი განაცხადა. ახლა კი 32 წლის ფეხბურთელსა და მის ახალ გუნდს შორის ოთხწლიანი კონტრაქტი გაფორმდა, ხოლო სანაცვლოდ ინგლისური მხარე 4 მილიონ გირვანქას (6,58 მილიონი დოლარი) მიიღებს. ჰენდრიმ ნაკრებში 34 მატჩი ჩაატარა და ამავდროულად 1994-95 წლების სეზონში „ბლექბერნთან“ ერთად ინგლისის ჩემპიონიც გახდა. გლაზგოში ჩასულმა ფეხბურთელმა ასეთი განცხადება გააკეთა: „ბლექბერნში დიდებული 9 წელი გავატარე და მისი დატოვება ძლიერ მიჭირს. ვფიქრობ, ჩვენ ერთმანეთს ძალიან მოვერგეთ. თუმცა იმითაც ბედნიერი ვარ, რომ ამდენი ხნის განშორების შემდეგ ოჯახთან ერთად სამშობლოში ვბრუნდები.“ თავისი აზრი „რეინჯერსის“ ჰოლანდიელმა თაკაცმა დიკ ადვოკაატმაც გამოთქვა: „ჰენდრისადმი ინტერესი ჯერ კიდევ მაშინ გამიჩნდა, როდესაც „ეინდჰოვენს“ ვწვრთნიდი, მაგრამ იმ პერიოდში იგი ძვირად ფასობდა. კოლინი ნამდვილი ლიდერია, რაც ფეხბურთელისთვისაც და გუნდისთვისაც ძალიან ბევრს ნიშნავს. მე მისი გამოცდილების დიდი იმედი მაქვს.“

## სარბიელი
### სპორტული ლატარია “CROCO”

**ინტერტოტო.** საპასუხო მატჩები

5 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დებრეცენი — რუხი | (2,0-1,5) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| სამპდორია — ბოლონია | (2,5-1,35) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| სამსუნსფორი — ვერდერი | (15,0-1,01) | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| ვოივოდინა — ბასტია | (7,5-1,05) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ვალენსია — ესპანიოლი | (1,05-7,5) | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| ზალცბურგი — სიტარდი | (1,6-1,8) | 1,8 | 2,8 | 4,4 |

**ავსტრიის ჩემპიონატი.** III ტური

5 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| აუსტრია — რიდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ლინცერი — გრაცერი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| შტაირი — რაპიდი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| შტურმი — ლუშტენაუ | 1,1 | 6,0 | 12,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

# არადა ეწყინა

ავსტრიის ნაკრების ვეტერანმა კაპიტანმა ტონი პოლსტერმა განაცხადა, რომ ეროვნული გუნდის მატჩებში რეგულარულად აღარ ითამაშებს, მაგრამ თუ ევრო 2000-ს შესარჩევ ციკლში მისი მოედანზე გასვლა აუცილებელი გახდება, იგი სამშობლოს წინაშე ვალს მოიხდის. ავსტრიის რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში მან თქვა: „მწვრთნელმა ასე გადაწყვიტა. მე, ცხადია, გული დამწყდა, მაგრამ ვიცი, რომ დროა



სარბიელის არქივიდან

პოლსტერი შიშველია, მაგრამ თუ პროჰაზკა ეტყვის, ნაკრების მაისურს ჩაიცმევს

ახალგაზრდული გუნდი ჩამოყალიბდეს და ამ მიზანს დიდ პატივს ვცემ. თანაც ჰერბერტ პროჰაზკაზე ვერ გავნაწყენდები, რადგან იგი ყოველთვის და ყველაფერში მეხმარებოდა“.

პოლსტერს ავსტრიის რეკორდი ეკუთვნის. მან 16 წლის განმავლობაში ნაკრების 94 შეხვედრაში 44 გოლი გაიტანა.

„ძალიან მინდა თამაშების რაოდენობა ასამდე ავიყვანო, გოლებისა კი ორმოცდაათამდე, მაგრამ თუ გუნდს არ დავჭირდები, ხმის ამომღები არ ვარ“ — დასძინა მან. შეგახსენებთ, რომ პოლსტერი ახლახან გადავიდა გერმანულ მიონხენგლადბახის „ბორუსიაში“. გასულ სეზონში იგი „კიოლნში“ გამოდიოდა, მაგრამ „კიოლნი“ ბუნდესლიგიდან გავარდა.

## ფეხბურთის რუკასთან



სარბიელის არქივიდან

ბრაზილიელი ზე მარიო, 49 წლის მწვრთნელი, რომელიც ადრე კატარის ნაკრებს ედგა სათავეში, იაპონური „კაშიმა ანილერზის“ თავკაცად დაინიშნა. მან თანამდებობაზე შეცვალა თანამემამულე ჟოაო კარლოსი. 22 აგვისტოს ამომავალი მზის ქვეყანაში ჯეი ლიგის ჩემპიონატის მეორე ეტაპი იწყება. ზე მრაიო „ანთლერზში“ სწორედ მის დამთავრებამდე დარჩება. დღეისათვის გუნდი მეხუთე ადგილზეა და ორ ლიდერს „ჯუბილო ივატასა“ და „შიმიცუ S-პლასს“ სამი ქულით ჩამორჩება, თუმცა პირველი ეტაპის დასრულებამდე ჯერ ორი ტურია და ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს. ზე მარიო ფეხბურთლეობისას ბრაზილიაში, „ფლამენგოსა“ და „ფლუმინენსეში“ თამაშობდა, სამწვრთნელო კარიერა კი 1986 წელს ერაყში დაიწყო. 1995-96 წლებში „კაშიმა ანითლერზის“ დღევანდელი ხელმძღვანელი საუდის არაბეთის ნაკრებს ედგა სათავეში.

**ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბი „კრისტალ პალასი“ ორი ჩინელი ფეხბურთელის შეძენას ლამობს. გუნდის ახალი თავკაცი, ცნობილი ტერი ვენეიბლზი იმედოვნებს, რომ მცველები ფანგ ჟუი და ჰუნ გი მისი ქვეშევრდომები გახდებიან. ჩინელებს ვენეიბლზთან რეკომენდაცია ინგლისელმა მწვრთნელმა, დღეს „კრისტალ პალასში“ ასისტენტად მომუშავე ტედ ბაქსტონმა გაუწია. ბაქსტონი ერთიხანობა ჩინელთა ეროვნულ გუნდს წვრთნიდა. შეგახსენებთ, რომ „პალასი“ პრემიერლიგიდან გასულ სეზონში გავარდა, ახლა კი განახლებისა და აღორძინების დიდი პროგრამა აქვს შემუშავებული. კლუბი შეიძინა კომპიუტერთა მწარმოებელმა მილიონერმა მარკ გოლდსბერგმა. აღსანიშნავია, რომ ვენეიბლზმა უკვე იყიდა არგენტინის 21 წლამდელთა ნაკრების ვარსკვლავები პაბლო როდრიგესიდა კრისტიან ლედესმა.**

ბრაზილიის პირველობაზე შედგა პრინციპული შეხვედრა „ბრაგანტოინოსა“ და „ვასკუ და გამას“ შორის, რომელიც, როგორც ამ ქვეყანაში სჩვევიათ, დიდი აყალმაყალით დასრულდა. ჯერ იყო და მსაჯმა მარკო ანტონიო კუნამ ჩასტვინა და დაასრულა თამაში, მერე კი (მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელებმა მაისურები გაცვალეს და გასახდელებში გავიდნენ) კომისართან მივიდა და მისი გაგრძელება ითხოვა. ანგარიში გახლდათ 0:0. „ვასკუ და გამას“ მეორე ტაიმში მწვრთნელი და ორი მოთამაშე გაძევებული ჰყავდა, ამიტომაც გუნდმა გასახდელიდან მოედანზე აბრუნება იუარა. შემდეგ კლუბის დირექტორმა ანტონიო ლოპესმა არბიტრი გამოლანძღა. ახლა, ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაცია თავს იმტვრევს, რა ანგარიში გააფორმოს ოფიციალურად. სხვათა შორის, ზემოხსენებული ლოპესი, რომელიც არბიტრს 90 წუთის განმავლობაში ყველა გადაწყვეტილების მერე აგინებდა, კლუბის დირექტორობამდე პოლიციაში დეტექტივად მუშაობდა. ამასობაში „ფლამენგომ“ 3:1 მოუგო „კორიტიბას“, ამ შეხვედრაში საინტერესო ის გახლდათ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ მიღებული ტრავმის მერე პირველად ითამაშა ფლამენგოელმა რომარიომ და მოედანზე დაბრუნება გოლით აღნიშნა.

**მექსიკაში დაიწყო ეგრეთ წოდებული ზამთრის ჩემპიონატი. გახსნის შეხვედრაში „ატლანტემ“ დაამარცხა „ტოლუკა“ 2:1. პირველობის სისტემა ასეთია: 18 გუნდი რაღაცნაირად 4 ჯგუფად არის განაწილებული, მაგრამ ყველა მაინც ერთმანეთს ხვდება. ბოლოს მეოთხედფინალისტების ვინაობა უნდა გაირკვეს. პირველ ტურში მეოთხე ჯგუფის ოთხივე გუნდმა წააგო.**

აშშ-ის 23 წლამდელთა ნაკრებმა დაიწყო საერთაშორისო ტურნე, რომლის პირველ თამაშშიც მანჩესტერის „ჩორლი სტადიუმზე“ 1:0 დაამარცხა „ბოლტონ უონდერერზის“ სათადარიგოთა გუნდი. ამერიკელი ახალგაზრდები მანჩესტერში 28 ივლისიდან არიან დაბანაკებულნი. მათ ინგლისში სამი მატჩი დარჩათ ჩასატარებელი, „ლივერპულის“, „მანჩესტერ იუნაიტედის“ და „ჰაიდ იუნაიტედის“ სათადარიგოებთან.

**ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელი ვიმ იონკი „ეინდჰოვენიდან“ ინგლისურ „შეფილდ უენსდეიში“ გადავიდა. 31 წლის იონკი შეფილდის გუნდში სამწელიწადს დაჰყოფს. აღსანიშნავია, რომ ის გუნდის ახალი მწვრთნელის, ადრე „ბარნსლიში“ ნამუშევარი დენი უილსონის პირველი შენაძენია. როგორც ამბობენ, იონკი ინგლისელებს 4,11 მილიონი დოლარი დაუჯდათ.**

პოლონეთის ნაკრების ფეხბურთელი, მეკარე ადამ მატოშეკი გერმანიის მეორე დივიზიონის „გიუტერსლოდან“ ბუნდესლიგის „ლევერკუზენში“ გადავიდა. მატიშეკის ტრანსფერის თანხას კლუბები მალავენ. პოლონელი გოლკიპერი 30 წლისაა. მის ახალ გუნდს, „ლევერკუზენს“ გასულ კვირაში, ამხანაგურ შეხვედრაში დირკ ჰაინენის დაშავების შემდეგ მეკარის შეძენა სჭირდებოდა, რადგან, როგორც ამბობენ ჰაინენი ორი თვე მკურნალობას მოუნდება.

**ჩილეში „კოლო კოლო“ ორი ქულით დაწინაურდა. მან პრინციპულ მეტოქეს, „უნივერსიდად კატოლიკას“ სანტიაგოს დერბიში 3:1 მოუგო. ქვეყნის მესამე გუნდმა „უნივერსიდად დე ჩილიმ“ ექვსთამაშიანი მოუგებელი სვლა „უონდერესისის“ 3:1 ძლევით დაასრულა.**

არგენტინელი თავდამსხმელი მარტინ პოსე მშობლიური „ველეს სარსფილდიდან“ ესპანეთში, კერძოდ ბარსელონის „ესპანიოლში“ გადავიდა და თავის ახალ კლუბთან ნახევარფასიანი ხელშეკრულება გააფორმა. ეს იმას ნიშნავს, რომ „ველესმა“ მთლიანი თანხის ნახევარი მიიღო, მომავალში კი, თუ „ესპანიოლი“ პოსეს გაყიდის, იმ ტრანსფერში აღებული თანხის ნახევარს დაისაკუთრებს. კონტრაქტი ხუთწლიანია, ხოლო სატრანსფერო თანხა 700 მილიონ პესეტას (4,6 მილიონი დოლარი) შეადგენს. არგენტინული კლუბის ხელმძღვანელობას დიდი იმედი აქვს, რომ ფორვარდი ესპანეთში მაღალ დონეზე იასპარეზებს და მერე გაცილებით დიდ ფასად გაიყიდება. პოსე, „ესპანიოლის“ თავკაცის მარსელო ბიელსას ჩათვლით, გუნდში მეოთხე არგენტინელია.

**ინგლისში „ნიუკასლის“ გარემარბის, ჩრდილო ირლანდიელი კიტ გილესპის „მიდლსბროში“ გადასვლა ჩაიშალა, რადგან ფეხბურთელმა სამედიცინო შემოწმებისას ახალი გუნდის ექიმები ვერ დააკმაყოფილა. „მიდლსბროს“ პრესატაშემ დაადასტურა, რომ გილესპი ტრავმირებულია. შეგახსენებთ, რომ მიდლსბროელმა მწვრთნელმა ბრაიან რობსონმა ჩრდილო ირლანდიელის ყიდვა მას მერე გადაწყვიტა, რაც მილანის „ინტერის“ და იტალიის ნაკრების მოთამაშე ფრანჩესკო მორიერო ვერ ჩაიგდო ხელთ.**

შვეიცარიის ნაკრებისა და გერმანული „კაიზერსლაუტერნის“ წამყვანი ფეხბურთელი ჩირიაკო სფორცა შვიდკვირიანი იძულებითი შესვენების შემდეგ გუნდს დაუბრუნდა. სფორცამ შარშან „კაიზერსლაუტერნის“ გაჩემპიონებაში უდიდესი წვლილი დაიდო. კლუბის ხელმძღვანელები 28 წლის გამთამაშებელზე მომავალშიც დიდ იმედებს ამყარებენ. ბუნდესლიგის ჩემპიონს წინ მართლაც მძიმე სეზონი ელის, ჩემპიონთა ლიგაში გუნდს ღირსეული გამოსვლა დაუსახავს მიზნად და არც შინაურ ასპარეზზე აპირებს რაიმეს დათმობას. მართალია, სფორცა ამჟამად ფორმაში არ არის, მაგრამ იმედოვნებს, რომ 16 აგვისტოსთვის მზად იქნება. ამ დღეს „კაიზერი“ გერმანიის ჩემპიონატის პირველ ტურში „მიუნხენ 1860“-ს ეწვევა.

**ირლანდიელი როი კინი მალე მწვანე სარბიელს დაუბრუნდება. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავმა გასრულებული სეზონის დასაწყისში, „ლიდს იუნაიტედის“ ნორვეგიელ ლეგიონერ ალფ ინგე ჰაალანდთან შეტაკებისას მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო, თუმცა ერთწლიანმა სარეაბილიტაციო კურსმა წარმატებით ჩაიარა და ახლა ოლდტრეფორდელებს კინის დიდი იმედი აქვთ. კლუბის თავკაცმა ალექს ფერგიუსონმა განაცხადა როის დაბრუნებით გვარიანი შევსება მივიღეთ, გასულ სეზონს ის რომ გვყოლოდა, ჩემპიონები ჩვენ გავხდებოდითო.**

დასაწყისი პირველ გვერდზე

3 აგვისტო

### E ჯგუფი

**საბერძნეთი 48:60 (24:28) რუსეთი**

**საბერძნეთი: ალვერტისი (12), პაპანიკოლაუ (8), ეკონომუ (8)**
**რუსეთი: ბაბკოვი (18), კარასიოვი (14), კისურინი (11)**

ამ შეხვედრაში რუსებმა მეტად დამაჯერებლად ითამაშეს და საკმაოდ ომახიანი განაცხადი გააკეთეს მსოფლიოს ჩემპიონობაზე.

არადა, პირველ მატჩებში სურგეი ბელოვის შეგირდები არცთუ კარგად ირჯებოდნენ. მართალია, ელინებთან დაპირისპირებამდე მათ სამი დამჯერებელი გამარჯვება ჰქონდათ აქტივში, მაგრამ რუსეთის ნაკრები მაინც არ ჰგავდა იმ გუნდს, რომელსაც მსოფლიოს უპირველესი ტურნირის მოგება ამოუჭირია გულში.

გუშინწინ კი ყველაფერი შეიცვალა. ათენის ოლიმპიურ დარბაზში საყვარელი გუნდის მორიგი მოგების ნახვის სურვილით შეკრებილი 15 ათასი ბერძენი ხმაჩაკმენდილი შეჰყურებდა, თუ არ საამაგალითოდ გაუსწორდნენ მასპინძელბს რუსები.

მატჩის გადამწყვეტი მომენტი მეორე ტაიმში დადგა. შესვენების შემდეგ ათიოდე წუთი იყო გასული და ტაბლოზე ბერძენთათვის საკმაოდ სასურველი 43:38 კიაფობდა. აი, ამის შემდეგ დაიწყო ნამდვილი კოშმარი. თამაშში 18 ქულის ჩამგდებმა სერგეი ბაბკოვმა ტრადიციულად აიწყვიტა. მას არც თანაგუნდელები ჩამორჩნენ და რუსებმა გაოგნებულ მეტოქეს 15:0-იანი შემაძრწუნებელი ინტერვალი აჩუქეს.

სულ რაღაც სამიოდ წუთში ანგარიში უკვე 52:43 იყო რუსთა სასარგებლოდ! ასეთი მძლავრი დარტყმის გადატანა ბერძნებმა ველარ შეძლეს. კარგად მოთამაშე ალვერტისი და ახალბედა პაპანიკოლაუ ამაოდ ცდილობდნენ დადუმებულ ტრიბუნების აყოლიებას. გულშემატკივრები მიხვდნენ, რომ სტუმრები მოპოვებულ უპირატესობას ხელიდან აღარ გაუშვებდნენ და მატჩს თავიანთ სასარგებლოდ დაასრულებდნენ.

ესეც მოხდა. მსოფლიოს 1994 წლის ვერცხლის პრიზიორებს აღარ გასჭირვებიათ სასურველი ანგარიშის შენარჩუნება. საოცარია, მაგრამ მატჩის შემდეგ ბერძენთა მთავარი მწვრთნელი პანაიოტის იანაკისი არცთუ გულნატკენი ჩანდა:

— კრიტიკულ მომენტებში უამრავი უპატიებელი შეცდომა დავუშვით, რამაც თამაშის მთელი მიმდინარეობა შეცვალა. მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, რომ საბერძნეთის ნაკრებისთვის ჯერ არაფერი დასრულებულა. ამიტომაც წაგება ადვილად ალვიქვი. ბოლოს და ბოლოს, ჩემმა გუნდმა პროგრამა-მინიმუმი მეოთხედფინალში გასვლა წარმატებით შეასრულა. იქ კი სულ სხვაგვარი-უფრო დაძაბული და მნიშვნელოვანი მატჩები გველის, რომელთა მოგებითაც გუნდი პროგრამა-მაქსიმუმის განხორციელებას შეეცდება.

რუსეთის ნაკრების თავკაცი სერგეი ბელოვი უფრო საიტყვაძუნწი აღმოჩნდა: „დღეს უძნელესი ბრძოლა გადავიტანეთ და მოხარული ვარ, რომ გამარჯვება სწორედ ჩვენ დაგვრჩა. ბერძენთა ძლევის მიზეზი კი ის იყო, რომ ჩვენ, უბრალოდ, მათზე ნაკლებად ემოციურად, გაწონასწორებულად ვირჯებოდით.“

სტანისლავ ერიომინი, რუსთა თავკაცის თანაშემწე: „საბერძნეთში მასპინძელთა მათივე გულშემატკივრების თვალწინ დაჩაგვრა ადვილი საქმე როდია. ჩვენმა ნაკრებმა მართლაც გმირობა ჩაიდინა და მეოთხედფინალების წინ ხასიათი საგრძნობლად გამოიკეთა. მჯერა, ბიჭები თავიანთ ძალებს საბოლოოდ ირწმუნებენ, რაც მათ პოტენციალის სრულად გამოვლენაში დაეხმარება.“

### F ჯგუფი

**აშშ 75:73 (31:42) ესპანეთი**

**აშშ: ოლივერი (17), მილერი (12), გარისი (11)**
**ესპანეთი: ერეროსი (27), რეიესი (10)**

სამწუხაროა, რომ ისევ აშშ-ის ნაკრების არადამაჯერებელ ასპარეზობაზე გვიხდება საუბარი, მაგრამ ფაქტია, ამ ნაკრებს ათენში პირველობის დაბევება უაღრესად გაუჭირდება.

თავად განსაჯეთ: ესპანელებთან შეხვედრაში ამერიკელებმა პირველი ტაიმი პირწმინდად წააგეს, ხოლო ანგარიშში პირველად მაშინ დაწინაურდნენ, როდესაც მატჩის დამთავრებას სულ რაღაც ერთი (!) წუთი უკლდა.

წინა „სარბიელშიც“ ვწერდით და

# პატარა ლიტვა — დიდი რუსეთი

ეხლაც გავიმეორებთ, რომ ესპანეთის ნაკრები ჯგუფურ ტურნირში ჩატარებული მატჩების შემდეგ სასწაულებრივად გარდაიქმნა. ამის დასტურად თუნდაც მეორე ეტაპის პირველ შეხვედრაში ბრაზილიის არცთუ სუსტი გუნდის თამაშ-თამაშ დამარცხება გამოდგება. ესპანელები მშვიდად, აუღელვებლად გაუსწორდნენ სამხრეთამერიკელებს და როგორც გუშინწინდელმა მატჩმა აჩვენა, ფარ-ხმალის დაყრას არც ჩრდილოამერიკელებთან აპირებდნენ.

უბრძოლველად რაიმეს დათმობა კი არა, ევროპელებმა იმდენად ფიცხელი ტემპი შესთავაზეს მეტოქეს, რომ ეს უკანასკნელნი სახტად დარჩნენ. ესპანელემა კი გაილაღეს. საუცხოოდ მოთამაშე ერეროსის მიერ საშუალო და შორი დისტანციებიდან ზუსტად შესრულებულ ტყორცნებს რეიერსის არანაკლებ მომხიბვლელი გარღვევები ცვლიდა, რამაც ამერიკელები ერთგვარად დააბნია.

რომ არა მწვრთნელ რუდი ტომიანოვიჩის უდიდესი გამოცდილება, აშშ-ის ნაკრები, ალბათ, ვერც შეძლებდა ესპა-



იუგოსლავია—საბერძნეთი. რებრაჩა (მარჯვნივ) ვერც ბერძნებმა შეაჩერეს

REUTERS ათენიდან

ნელთათვის საკადრისი წინააღმდეგობის გაწევას და კიდევ ერთხელ საქვეყნოდ შერცხვებოდა.

1994-95 წლებში NBA-ს ჩემპიონ „ჰიუსტონ რეკიტსის“ დამრიგებელმა შესვენებაზე სათანადოდ დამოძღვრა თავისი კალათბურთელები. უნდა ითქვას, ამ დროისთვის ჩამორჩენა უკვე საკმაოდ საგრძნობი იყო — 31:42 და ნაკლებად თუ ვინმეს სჯეროდა, რომ ამერიკელები შეხვედრის ბედს შეატრიალებდნენ. თუმცა...

ტომიანოვიჩის დარიგებებმა გაჭრა. აქამდე ჩრდილში მყოფი ჯიმი ოლივერი და ბრედ მილერი გამოცოცხლდნენ და მშვენივრად ათამაშდნენ. ყოველივე ეს ანგარიშშიაც აისახა, რომელიც, ესპანელთა სამწუხაროდ, წუთიდან წუთამდე მცირდებოდა. ევროპელთაგან სიმტკიცეს მხოლოდ 27 ქულის გამკეთებელი ეროსი ინარჩუნებდა, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა, თავისი გუნდისათვის ლიდერობა შეენარჩუნებინა. მაგრამ ზემოხსენებული ოლივერისა (17 ქულა) და მილერის (12 ქულა) ძალისხმევამ თავისი გაიტანა. საფინალო სასტვენამდე ერთი წუთით ადრე წინ უკვე ამერიკელები იყვნენ 72:71. ესპანელებმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლეს, მაგრამ აღარაფერი გამოუვიდათ. ეს ბუნებრივიცაა. გუნდი, რომელიც აშშ-ის ნაკრებთან ამხელა უპირატესობას ხელიდან გაუშვებს, იგი მოგების ღირსი არ არის.

ამრიკელთა თავკაცი რუდი ტომიანოვიჩი: „ესპანეთმა დღეს ბრწყინვალედ ითამაშა. ჩვენ კი... მართალია, პირველ ტაიმში საზიზღრად ვირჯებოდით, მაგრამ მაინც შევძელით გარდატეხის შეტანა და მეორე ნახევარში მთლიანად ვბატონებდით მოედანზე. ახლა წინ ერთადერთი ბარიერი — ავსტრალია დაგვრჩა, რომელიც ტურნირის მსვლელობისას დიდ ალმავლობას განიცდის. საწყისი ორი მარცხის შემდეგ მათ ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგეს და ჩვენთან თამაშს გუნებაგამოკეთებულნი ჩაატარებენ. თანაც ავსტრალიელები ფიზიკურად კარგად არიან მომზადებული და არც საუცხოო მსროლელების ნაკლებობას განიცდიან.

მოკლედ დაცვაში საგანგებოდ გარჯა გვმართებს და შევეცდებით, თავი არ შევირცხვინოთ.

ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი მანუელ საინსი: „ბოლო წუთებზე განცდილი დასანანი მარცხის მიუხედავად გულს არ ვიტეხთ. ჩვენ ხომ აქამდე უპრობლემოდ ვიმარჯვებდით და ადრინდელი მეტოქეების გზას დღეს კინაღამ ამერიკელებიც გავუყენეთ. ასე რომ, საგანგაშო არაფერია.“

4 აგვისტო

### E ჯგუფი

**რუსეთი 81:72 (42:38) კანადა**

**რუსეთი: კარასიოვი (21), ბაბკოვი (14), პანოვი (14)**
**კანადა: ნიუტონი(14), გუარაჩი (13), მიკსი (12)**

ჩემპიონატის ერთ-ერთმა ფავორიტმა რუსეთის ნაკრებმა საკმაოდ ადვილად დაამარცხა ჯგუფის აუტსაიდერი.

ის, რომ კანადელებს შემდეგ ეტაპზე გასვლის არანაირი შანსი არ ჰქონდათ, ჯერ კიდევ შეხვედრის დაწყებამდე იყო გარკვეული, ამიტომ მათგან სასწაულს არც არავინ ელოდა. სამაგიეროდ, თამაშის შედეგით რუსები იყვნენ უაღრესად დაინტერესებული. წაგების შემთხვევაში მათ ძლიერ მეტოქესთან მოუწევდათ შერკინება, ხოლო თუკი ჩრდილოამერიკელებს დაამარცხებდნენ, მაშინ მეოთხედფინალში შედარებით იოლ მეტოქეს ირგუნებდნენ.

ისე, კაცმა რომ თქვას, მეოთხედფინალში სუსტი გუნდები საერთოდ ვერ გადიან და ამიტომ დიდი მნიშვნელობა არც აქვს, ვინ შეგხვდება. ჩვენ კი გავიძახით, საბჭოური კომენტატორებისგან შემორჩენილ ფრაზებს — წააგო, რათა სუსტ მეტოქეს შეხვედროდაო, მაგრამ არა გვგონია, ეს მთლად გამართლებული მოსაზრება იყოს, რადგან თუ მსოფლიოს ჩემპიონობა გსურს, არავის არ უნდა უფრთხოდე. შესაძლო მოწინააღმდეგეთა რჩევა კი, ალბათ, ისეთთა ხვედრია, რომლებსაც შიშით გული ულონდებათ, ვაითუ ესა და ეს არ შემხვდეს და ასპარეზობიდან არ გამომთიშოსო.

მოკლედ, რუსებმა ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე იმარჯვეს და მეოთხედფინალს კარგი განწყობით ხვდებიან. კანადელებმა მთელი მატჩის განმავლობაში მეტოქეს სირთულე ერთადერთხელ შეუქმნეს, როდესაც 14 ქულის ჩამგდები ნიუტონის წყალობით საფინალო სასტვენამდე ექვსი წუთით ადრე ანგარიში საყაიმო გახადეს 61:61. მაგრამ სულ ეს იყო. ჩრდილოამერიკელებს არც გუარაჩისა (13 ქულა) და მიკსის (12 ქულა) მონდომებამ უშველათ.

რუსეთის ნაკრების კალათბურთელები კარგად ასრულებდნენ დამრიგებლის — სერგეი ბელოვის მითითებებს. მათ მეტოქის ყველაზე სახიფათო მოთამაშე — ნიუტონი საიმედოდ ამოკეტეს, რითაც საკუთარი ფარი მიუვალი გახადეს.

კანადელთა კალათთან კი იცოცხლეთ, ლაღი თამაში მიმდინარეობდა. შემტევი მცველი ვასილი კარასიოვი (21 ქულა) შეუჩერებელი იყო. მას მხარი სერგეი ბაბკოვმა და პანოვმაც აუბეს, რომლებიც 14-14 ქულით შეეწივნენ გუნდს.

საბოლოოდ ჩრდილოამერიკელებმა ცხრა ქულით წააგეს და ახლა ოდენ მე-9-მე-11 ადგილებისთვის გათამაშებაში მონაწილეობით თუ ინუგეშებენ თავს. რუსები კი მეოთხედფინალზე დიდ იმედებს ამყარებენ და სასურველ ჩემპიონობაზეც დაუფარავად საუბრობენ.

**იტალია 68:63 (34:31) პუერტო რიკო**

**იტალია: ფუჩკა (15), აბიო (13), ბასილე (11)**
**პუერტო რიკო: ორტისი (21), ვეგა (13), კასიანო (12)**

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მეორე წრეში იტალიის ნაკრებმა საუცხოოდ იასპარეზა. გახსოვთ, ალბათ, ჯგუფურ ტურნირში განცდილი მარცხის შემდეგ „სკუადრა ადურამ“ E ჯგუფის პირველივე შეხვედრაც წააგო რუსეთთან და ისეთ მძიმე ვითარებაში ჩავარდა, რომ მისგან მეოთხედფინალის საგზურის მოპოვებას თითქმის აღარავინ ელოდა.

თუმცა გასული ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორებმა იხტიბარი არ გაიტეხეს, ძალები მოიკრიბეს და საკმაოდ სენსაციურად თვით იუგოსლავიის ნაკრები გააკრეს ბეჭებზე. ამიტომ პუერტორიკოელებთან მატჩის წინ საერთო აზრით გამარჯვება სწორედ აპენინელებს უნდა დარჩენოდათ და ამათაც არ გააწბილეს მათი ერთგული ქომაგები.

არადა თამაში უპრინციპულეს ხასიათს ატარებდა. შეხვედრამდე იტალია 3 მოგებითა და ორი წაგებით მივიდა, ხოლო პუერტო რიკოს ნაკრებს ეს მაჩვენებელი საპირისპირო ჰქონდა — 2 გამარჯვება 3 მარცხის წინააღმდეგ. ასე რომ, საკმარისი იყო იტალიელებს ფეხი დასცდენოდათ, უშუალო მეტოქესთან მოგების წყალობით მეოთხედფინალის გზაზე მწვანე შუქი სწორედ ამერიკელებს აენთებოდათ.

ალბათ ამიტომ იყო, რომ შეხვედრა მძიმედ დაიწყო. ორივე გუნდის კალათბურთელები ბევრს სცოდავდნენ და ხანდახან ისეთ ბურთებს აფუჭებდნენ, დამწყებ სპორტსმენს რომ არ ეპატიება. მაგრამ იტალიელებმა მაინც მოახერხეს მცირედით დაწინაურება და ამ უმნიშვნელო უპირატესობას მატჩის ბოლომდე ინარჩუნებდნენ.

პირველი ტაიმი ევროპელებმა სამი ქულის სხვაობით მოიგეს. შემდეგ კი, ასე მეორე ნახევრის შუაწელში, პუერტორიკოელებმა ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს 47:47. აქედან მოყოლებული თამაში უკიდურესად დაიძაბა და კიდევ უფრო მეტი სანახაობრიობა შეიძინა.

მცირედით წინ გასულ იტალიელებს მეტოქე ადვილად ეწეოდა. აქეთ 15 ქულის ჩამგდები გრეგორ ფუჩკა ყოჩაღობდა, იქეთ პუერტორიკოს ნაკრების უპირობო ლიდერი ხოსე ორტისი აქტიურობდა. ამ ცენტრფორვარდმა მატჩში ყველაზე მეტი — 21 ქულის მოპოვებაც შეძლო, მაგრამ საბოლოო მიზნის მისაღწევად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

ოკეანისგაღმელთა საუბედუროდ, საკმაოდ მოულოდნელად, თავი ბოლო დროს ჩრდილში მოქცეულმა ალესანდრო აბიომაც გამოიჩინა, რომლის გადამწყვეტმა ზუსტმა სროლებმაც საბოლოოდ გატეხა მეტოქე.

პუერტორიკოელებს საფინალო სასტვენამდე 50 წამით ადრე ჯერ კიდევ შეეძლოთ მატჩის გადარჩენა, მაგრამ მათ მიერ განხორციელებულმა კომბინაციამ შედეგი ვერ გამოიღო.

მატჩის შემდეგ იტალიელთა თავკაცი ბედგან ტანიევიჩი აღფრთოვანებას ვერ მალავდა: ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა გუნდმა დასახულ ამოცანას თავი გაართვა და რვა საუკეთესოს შორის გასვლა შეძლო. პუერტო რიკოს საკმაოდ ძლიერი ნაკრები ჰყავს და მათ დღეს დიდი პრობლემებიც შეგვიქმნეს, მაგრამ გამოგიტყდებით, შეხვედრის დაწყებამდე ეჭვი არ მეპარებოდა წარმატებაში. იტალიამ ხომ თავისი სიძლიერე წინა ტურში ჩე-



ამერიკელმა ჯიმი ოლივერმა ავსტრალიაც აიკლო

REUTERS ათენიდან

მპიონატის უპირველესი ფავორიტის, იუგოსლავიის ნაკრების დამარცხებით დაამტკიცა. ასე რომ, პუერტორიკოელების საერთოდ არ გვეშინოდა. ახლა მეოთხედფინალისთვის სათანადო მომზადება გვმართებს, რათა ერთგულ გულშემატკივრებს მოლოდინი გავუმართლოთ.

**იუგოსლავია 70:56 საბერძნეთი**

**იუგოსლავია: ბოდიროგა (19)**
**საბერძნეთი: ალვერტისი (23)**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 6 | 5 | 1 | 486:366 | 11 |
| რუსეთი | 6 | 5 | 1 | 455:388 | 11 |
| საბერძნეთი | 6 | 4 | 2 | 385:379 | 10 |
| იტალია | 6 | 4 | 2 | 395:393 | 10 |
| პუერტო რიკო | 6 | 2 | 4 | 438:443 | 8 |
| კანადა | 6 | 1 | 5 | 419:484 | 7 |

### F ჯგუფი

**არგენტინა 86:76 (42:38) ბრაზილია**

**არგენტინა: ნიკოლა (22), ობერტო (21), სკონოჩინი (16)**
**ბრაზილია: პეგოლო (22), ვიანა (20)**

ამ შეხვედრაში თავად საკალათბურთო პერიპეტიების გარდა ბევრი სხვაც საინტერესო რამ ხდებოდა. საქმე ისაა, რომ 4 აგვისტოს მთელს ათენს მოულოდნელად ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა და მიუხედავად შესაბამისი ადგილობრივი ინსტანციების დროული რეაგირებისა, დენის პრობლემის მთლიანად მოგვარება სწრაფად ვერ მოხერხდა.

ამან ქალაქის ჩრდილო ნაწილში ხანძარიც კი გამოიწვია, ხოლო პირეოსის „მშვიდობისა და მეგობრობის“ დარბაზში თამაშის ექსცესების გარეშე ჩატარება შეუძლებელი გახადა.

მაშინ, როდესაც ტაბლოზე საყაიმო ანგარიში 24:24 კიაფობდა, დარბაზში ელექტროენერგია სანახევროდ შემცირდა, რის გამოც საკმაოდ ჩამობნელდა. შეხვედრის არბიტრები, მოთამაშეები და გულშემატკივრები თხუთმეტი წუთის განმავლობაში ამაოდ ელოდნენ სიტუაციის გამოსწორებას.

ბოლოს რომ ნახეს, საშველი არსაიდან ჩანსო, ოფიციალურმა პირებმა მცირედი თათბირის შემდეგ მაინც ქომაგთა სასურველი გადაწყვეტილება მიიღეს და მატჩიც გაგრძელდა.

უნდა ითქვას, ეს პრობლემა საბედნიეროდ მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელ მთავარ სარბიელს — ათენის ოლიმპიურ დარბაზს არ შეხებია. არადა, მსგავს გაუგებრობას შეიძლებოდა დიდი არეულობები მოჰყოლოდა, რადგან ბერძნების და იუგოსლავიელების მონაწილეობით გასამართი შეხვედრის მოლოდინში დედაქალაქის ცნობილ არენაზე 20 ათასამდე ქომაგი იყო შეკრებილი და ძნელი მისახვედრი არაა, შუქის ჩაქრობა რა აურზაურს გამოიწვევდა.

ახლა ორიოდ სიტყვით თავად მატჩზეც ვთქვათ. მით უმეტეს, რომ ამ ორი სამხრეთამერიკულ ნაკრების დაპირისპირება ნებისმიერ სახეობაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ თამაში დიდი სიმძაფრით არ გამოირჩეოდა. ეს არც იყო მოსალოდნელი, რადგან ბრაზილიელებმა ჯერ კიდევ წინა ტურში განცდილი მარცხის შემდეგ დაკარგეს მეოთხედფინალში გასვლის ყოველგვარი შანსი და სავარაუდოდ მე-9-მე-11 ადგილებისთვის გასამართი ბრძოლების უკეთ ჩატარების მიზნით არგენტინელებს თავს არ შეაკლავდნენ.

მართლაც, არგენტინის ნაკრებს დიდი პრობლემები არ შექმნია. თუმცა ასეც რომ ყოფილიყო, არა გვგონია, ბრაზილიელებს გამძვინვარებული მეტოქისთვის რაიმე წინააღმდეგობა გაეწიათ, რადგან ამ უკანასკნელთ სამბას მოცეკვავეებისგან განსხვავებით საუკეთესო რვაში მოხვედრის იმედი ჯერაც არ გადაწურვოდათ.

მოკლედ, სკონოჩინიმ (16 ქულა), მარჩელა ნიკოლამ (22 ქულა) და კომპანიამ ადვილად დაამარცხეს 22 ქულის მომტანი პეგოლო და მისი თანაგუნდელები და გულის ფანცქალით მიუსხდნენ ტელევიზორებს, სადაც მათი ბედის გადამწყვეტ აშშ — ავსტრალიის შეხვედრას გადასცემდნენ.

**აშშ 96:78 (54:31) ავსტრალია**

**აშშ: ოლივერი (18), სესერი (15), კინგი (14)**
**ავსტრალია: ჰილი (31), გეიზი (8), მაჰერი (8)**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 6 | 5 | 1 | 511:430 | 11 |
| ესპანეთი | 6 | 5 | 1 | 457:429 | 11 |
| ლიტვა | 6 | 4 | 2 | 472:432 | 10 |
| არგენტინა | 6 | 3 | 3 | 436:428 | 9 |
| ავსტრალია | 6 | 3 | 3 | 432:427 | 9 |
| ბრაზილია | 6 | 1 | 5 | 399:456 | 7 |

5 და 6 აგვისტო უქმე დღეებია, 7 აგვისტოს კი ითამაშებენ:

მე-9-11 ადგილებისთვის

12:00 — პუერტო რიკო — ბრაზილია
14.00 — კანადა — ავსტრალია

მეოთხედფინალები

16:15 — იუგოსლავია — არგენტინა
18.30 — საბერძნეთი — ესპანეთი
20.45 — რუსეთი — ლიტვა
23.00 — იტალია — აშშ

**ირაკლი ხმელიძე**

# საქართველოს კეტბურთელთა ნაკრები ოლიმპიურ ლიცენზიას უმიზნებს

## მომეცით ყოველწლიურად მილიონი და საქართველოს ნაკრები 10 წელიწადში მსოფლიოს ჩემპიონი გახდება — გვპირდება ნუგზარ კაპანაძე



ნუგზარ კაპანაძეს იმედი აქვს

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

იქნებ გახსოვთ ქართველ კეტბურთელთა წარმატება 1994 წელს კიევში გამართულ ახალგაზრდათა ევროპის ჩემპიონატზე, სადაც ჩვენმა გუნდმა ძალზე კარგად იასპარეზა და შთამბეჭდავი გამარჯვებების შემდეგ მხოლოდ ფინალში მოეცარა ხელი რუსეთის ძლიერ გუნდთან. ეს იყო საქართველოს კეტბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების პირველი ოფიციალური საერთაშორისო ტურნირი. იმავე წელს ჩვენს გუნდს უფრო სერიოზული გამოცდა ელოდა სლოვენიის ქალაქ ლუბლიანაში, ამჯერად „საუფროსო" ევროპულ ჩემპიონატზე. ნაკრების კიევურ ვარიანტს კიდევ რამდენიმე მოთამაშე უნდა დამატებოდა და საქართველოს ეროვნული გუნდიც მზად იყო ევროპის გრანდებს შებმოდა. მაგრამ მაშინ ჩვენი ნაკრები ქართული სპორტის ჯერაც უკურნებელმა სენმა — უფულობამ დაღუპა. შეჯიბრებაზე გასამგზავრებელი თანხები ვერ გამოინახა და ნაკრები თბილისში დარჩა. ჩემპიონატზე გამოუცხადებლობის გამო ეროვნული გუნდი დისკვალიფიკაციით დაგვისაჯეს და სამი წლით ჩამოაშორეს ევროპას. წლეულს დისკვალიფიკაციას ვადა გაუვიდა, ქართულ კეტბურთს გზა გაეხსნა და მომავლის იმედი მიეცა. ის გუნდი, რომელმაც 1994-ში კიევში ვერცხლის მედლები მოიპოვა, მთლიანად შენარჩუნდა და ახლა ახალი მოთამაშეებით შევსებული და გაძლიერებული ეროვნული ნაკრები ავსტრიას მიემგზავრება ევროპის პირველობაზე. იმის გასაგებად, თუ როგორი მდგომარეობაა დღეს ქართულ კეტბურთში და როგორი ამბიციებით ემზადება ეროვნული გუნდი, ნაკრების მთავარ მწვრთნელს ნუგზარ კაპანაძეს გავესაუბრეთ

**— დღესდღეობით კეტბურთი საქართველოში უცხო ხილად აღარ ითვლება. გვყავს როგორც ეროვნული და ახალგაზრდული, ასევე საკლუბო გუნდები, მაგრამ ახლა ყურადღების ცენტრში, ბუნებრივია, ეროვნული ნაკრებია, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე უნდა ითამაშოს ავსტრიაში „B" ჯგუფის გუნდებს შორის. რამდენი გუნდია წელს ამ ჯგუფში? და საერთოდ, როგორი სისტემით მოეწყობა ჩემპიონატი?**

— წლეულს „B" ჯგუფში ყველაზე მეტი, 16 გუნდი იასპარეზებს. მათგან ორი საუკეთესო „A" ჯგუფში გადავა, სადაც ევროპული კეტბურთის გრანდები თამაშობენ. გაისად სწორედ ეს გუნდები, სულ 10, იბრძოლებენ იმ სამი ადგილისთვის, რომელბიც ევროპულ ნაკრებებს სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადისთვის გამოეყოთ. ვნახოთ, თუ ყველაფერი კარგად იქნება, შეიძლება ჩვენც მათ შორის ვიყოთ.

**— საქართველოს ნაკრების ავსტრიულ მეტოქეებზე რა იცით?**

— ჩვენი გუნდი D ქვეჯგუფში მოხვდა პოლონეთის, უნგრეთისა და ხორვატიის ეროვნულ გუნდებთან ერთად. ამის გარდა კიდევ სამი ქვეჯგუფია. პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები მეოთხედფინალში გადიან და მერე შეჯიბრი ოლიმპიური სისტემით გრძელდება. ფინალი 16 აგვისტოს ვენაში გაიმართება.

**— პირველ მატჩს როდის თამაშობთ?**

— ჯერ 3 დღე ზედიზედ გვიწევს თამაში: 9-ში პოლონეთთან ჩვენს ეროვნულ ნაკრებს პირველი ოფიციალური მატჩი ელის, 10-ში ხორვატებს ვხვდებით, 11-ში კი უნგრელებს. დანარჩენი მერე გაირკვევა.

**— ესე იგი, პლეი ოფში გასვლას თავიდანვე გეგმავთ.**

— აბა რა! პლეი ოფი კი არა, ფინალში უნდა გავიდეთ. ესაა ჩვენი მიზანიც, ამოცანაც და ყველაფერიც. „A" ჯგუფში აუცილებლად უნდა მოვხვდეთ, აუცილებლად! ჩვენთვის ახლა მე-3 ადგილიც კი კატასტროფის ტოლფასი იქნება!

**— ასეთი სერიოზული მიზნები გამოძრავებთ, მეტად ამბიციურად განწყობილხართ, ალბათ, გუნდიც კარგად გაწვრთნილი და მობილიზებული გეყოლებათ...**

— ნაკრების ბიჭები მართლაც მაგრად არიან, არც ჯანი აკლიათ, არც გამძლეობა და რთულ სათამაშო სიტუაციებშიც კარგად ერკვევიან. ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა.

**— მოკლედ, გუნდის ფიზიკური მზადყოფნა გაკმაყოფილებთ.**

— აბსოლუტურად! თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ფიზიკური გამძლეობის მხრივ ჩემი გუნდი საუკეთესოა საქართველოში!

**— მოთამაშეებს ტრავმები ხომ არ აწუხებთ?**

— არანაირი. კეტბურთელები საერთოდ იშვიათად შავდებიან.

**— რაიმე შეკრების მაგვარი ხომ არ გქონიათ?**

— არავითარი შეკრება არ გვქონია. მაგის ფული ნაღდად არ გვაქვს. უბრალოდ, ზამთარში, ლეგიონერები რომ ჩამოვიდნენ, ერთად ვვარჯიშობდით ვაკეში.

**— ლეგიონერებიახსენეთ და ცოტა მათ შესახებაც გვიამბეთ.**

— ჩვენი ბიჭები ძირითადად რუსეთის გუნდებში თამაშობენ. ადრე იქაურ ლიგაში 10-12 ლეგიონერი გვყავდა, წლეულს კი რუსეთს მხოლოდ 4 ჩვენებური შერჩა. ეტყობა, რუსებს ფინანსურად გაუჭირდათ და მეტის წაყვანა ველარ მოახერხეს. რამდენიმე ბიჭი შარშან უკრაინაშიც გვყავდა.

**— რუსულ გუნდებში ჩვენებს როგორი შედეგები ჰქონდათ?**

— ძალიან კარგი, საუკეთესო. თავიანთ გუნდებში ყველა წამყვანი მოთამაშე იყო. შარშანდელ სეზონში ჩვენი ალექსანდრე ვაშაკიძე საუკეთესო დამრტყმელად აღიარეს, იოსებ გოგიშვილი საუკეთესო მცველად, პიჩირებს ანუ მსროლელებს შორის ლიდერობა კი სანდრო ისაკაძემ და ნიკა ბეჟუაშვილმა არავის დაუთმეს. ალექსანდრე ვაშაკიძე და გიორგი ფოფხაძე, რომელიც ახლა ამერიკაშია, იუტას შტატში, პოდმოსკოვიეს „ბალაშიხას" რიგებში რუსეთის ჩემპიონები გახდნენ. არც დანარჩენებს უთამაშიათ ურიგოდ.

**— მოკლედ, გადარიეს რუსეთი!**

— გადარიეს რომელია, იქ დარჩენასა და მოქალაქეობის შეცვლას სთავაზობდნენ, რუსეთის ნაკრებში რომ ეთამაშათ, კარგ პირობებსა და მაღალ ხელფასსაც დაპირდნენ, მაგრამ ამაზე ყველამ უარი თქვა, საქართველოს სახელით, ქართული დროშით თამაში გვირჩევნიაო. ეწყინათ რუსებს, მაგრამ რას იზამდნენ.

**— ისევ ლეგიონერებზე გავაგრძელოთ. მახსოვს, ჩვენი მსროლელი ნიკა ბეჟუაშვილი ერთი ხანობა დომინიკელთა რესპუბლიკაში აღმოჩნდა და იქ თამაშობდა კიდეც. როგორ მოხვდა იქ ნიკა?**

— საქმე ისაა, რომ დომინიკელთა რესპუბლიკაში, სადაც ყველაფერი ძალიან იაფია, კეტბურთის ბაზა აქვს ამერიკის პროფესიული ლიგის გუნდს „ლოს ანჯელეს ეინჯელსს". ამ გუნდის წარმომადგენლები მთელი მსოფლიოდან კრებენ ნიჭიერ, პერსპექტიულ მოთამაშეებს და ამზადებენ მათ თავიანთ ბაზაზე ამ რესპუბლიკაში. ასე წაიყვანეს ნიკაც, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე ნახეს კიევში. ნიკამ „ეინჯელსის" ბაზაზე 6 თვე ითამაშა, მაგრამ მერე ლოსანჯელესელებმა ბაზა გაყიდეს და მოთამაშეებიც უკან გამოუშვეს.

**— ესე იგი, ნიკას ყველაფერი წყალში ჩაეყარა...**

— ეგრე გამოდის. თუმცა ამერიკიდან გამოძახებას დღესაც ველით.

**— იმედია, რაღაც გამოჩნდება. თან ნიკას ახალგაზრდულ ასაკსაც თუ გავითვალისწინებთ...**

— კი, მომავალი წინ აქვს. საერთოდ, ეს გუნდი ძალიან ახალგაზრდულია. მოთამაშეების საშუალო ასაკი დაახლოებით 19-21 წელია, გვყავს ერთი-ორი „ბებერიც", ყველაზე პატარა კი მხოლოდ 16 წლისაა.

**— ასეთ ახალგაზრდულ შემადგენლობას გამოცდილება თუ აქვს საკმარისი?**

— ამ მხრივაც საქმე ურიგოდ არაა. ბიჭებს გამოცდილება არ აკლიათ. ახლახან ჩვენთან ამერიკელი სპეციალისტები იყვნენ ჩამოსულნი, რომლებიც პროფესიულ კეტბურთში მუშაობენ. ძალიან მოეწონათ ჩვენი გუნდი და რაღაც-რაღაც სათამაშო ნიუანსებიც გვასწავლეს. რამდენიმე დღე დარჩნენ, წვრთნაში დამეხმარნენ და მეტად კმაყოფილებმა დატოვეს საქართველო.



ჩვენი ნაკრების დამჭერი კოტე ებანოიძე

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

**— შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ნაკრები ყველანაირად მზადაა „A" ჯგუფში გადასასვლელად საბრძოლველად?**

— სრულ მზადყოფნაშია.

**— კეტბურთსაც, ისევე როგორც სხვა სახეობებს დღევანდელ საქართველოში, არ ულხინს. ამჟამად, ევროპის ჩემპიონატის წინ რა მდგომარეობაა ამ მხრივ? ვინ აფინანსებს ნაკრებს?**

— ამ ჩემპიონატისთვის ყველანაირი ხარჯები იკისრა სპორტის დეპარტამენტმა და ამ მხრივ პრობლემა არ გვაქვს. ამ დღეებში ყველაფერი გაირკვა და ახლა ნაკრების სათამაშო ტაქტიკაზე ვიმუშავებ. მოწინააღმდეგე გუნდებს, გითხარით უკვე, საერთოდ არ ვიცნობ. იქვე, თამაშებისას უნდა ავუღო ალღო ყველაფერს და ვარეგულირო მოთამაშეების განლაგება პოზიციებზე.

**— როგორ ფიქრობთ, „A" ჯგუფში თუ გადახვალთ, შეიცვლება რამე?**

— ალბათ, შეიცვლება. კეტბურთისადმი მიდგომაც სხვანაირი იქნება. ბოლო-ბოლო, ვიღაცა მაინც დაინტერესდება ჩვენით. მე თვითონ კი დიდი გეგმები მაქვს სამომავლოდ. თუ ყველაფერი ისე აეწყო, როგორც ჩაფიქრებული მაქვს, ძალებს არაფერზე დავზოგავ. არც ერთ წუთს უქმად არ გავაცდენ და ყველანაირ დეტალზე გავამახვილებ ყურადღებას. ჩემი აზრით, კაცმა გულით თუ მოინდომე, ყველაფერს გააკეთებ. შეუძლებელი არაფერია. მაგრამ, ცხადია, უფულოდ არაფერი გამოვა. მომცენ ყოველწლიურად მილიონი და საქართველოს ნაკრები ათ წელიწადში მსოფლიოს ჩემპიონი გახდება!

თუმცა ეს მომავლის საქმეა, ჯერ ავსტრიაში უნდა ვიმარჯვოთ. ბიჭები ძალიან მონდომებულნი არიან. იმედი გვაქვს და ვნახოთ, რა იქნება!

**გიორგი ჭანიშვილი**


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:** ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:** ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:** ავთანდილ გურასაშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:** სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:** კონსტანტინე გოგიშვილი, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
**კალათბურთის განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
**ინფორმაციის განყოფილება:** ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29




# ცივ-ცივი ამბები ამ პაპანაქებაში

**უკვე ცნობილია, რომ 82-ე რეგულარული ჩემპიონატი 9 ოქტომბერს იწყება. ამ დღეს სამი მატჩი ჩატარდება, მათ შორის ერთი, უკვე ტრადიციად ქცეული — იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში, სადაც კალგარი და სან ხოსე მეორედ შეეცდებიან აზიელი მაყურებლის გულის მოგებას**

მანამდე კი ყოველწლიური საგამოფენო მატჩების სერიაში კიდევ ორი კლუბი — ბუფალო და ტამპა ავსტრიას ეწვევა და 15-19 სექტემბერს იქაურ გრანდებთან, ევროლიგის გამარჯვებულ „ფელდკირხთან" და „კლაგენფურტთან" მინი-ტურნირს გაითამაშებს.

ლიგის გუნდები, როგორც ყოველთვის, 82 შეხვედრას გამართავენ. სამაგიეროდ, შეიცვლება კონფერენციების სტრუქტურა. 27 კლუბი 6 დივიზიონად დაიყოფა (3-3 თითო კონფერენციაში). სხვადასხვა კონფერენციის გუნდები ერთმანეთს მხოლოდ ერთხელ შეხვდებიან (ადრე ორჯერ თამაშობდნენ), მაშინ, როცა ერთი კონფერენციის წარმომადგენლები 4-6-ჯერ შეიბმებიან. პლეი ოფში კონფერენციებიდან 3-3 დივიზიონის გამარჯვებული გავა, დანარჩენი გუნდებიდან კი — 5-5 საუკეთესო.

### გაასრიალეს, მოასრიალეს

ისევე, როგორც შარშან, მწვრთნელებმა ადგილსამყოფელი იცვალეს. ჯერ კიდევ ჩემპიონატის მსვლელობისას ერთბაშად ხუთ კლუბს გამოეცვალა თავკაცი და მათ ვერც პირველობის დასრულების შემდეგ დაიგულეს თავი სამშვიდობოს. კოლორადოსა და ნიუ ჯერსის კიდევ ოთხი გუნდი მიჰყვა, სადაც ახალი ხელმძღვანელი დაინიშნა. ჩიკაგოდან უხეირო სეზონის შემდეგ წასული კრეიგ ჰართსბურგის ადგილი წარსულში „ქორების" ცნობილმა ფორვარდმა და კაპიტანმა დარკ გრეჰემმა დაიკავა, ხოლო მას ასისტენტობას ასევე სახელოვანი ჩიკაგოელი დენი სავარი გაუწევს. საინტერესოა, რომ გრეჰემი 1995-96 წლებში ჰართსბურგის ასისტენტი იყო, შარშან კლუბში სკაუტის ფუნქციას ასრულებდა, 1997 წელს ჰოკეის ჩამოშორებული სავარიც ასისტენტობდა ჩიკაგოში.

ფლორიდა კი ძმებ მიურეების კლუბად იქცა. გუნდის გენერალურმა მენეჯერმა ბრაიან მიურეიმ სხვა კანდიდატებს თავისი ძმა ტერი ამჯობინა, მით უმეტეს, რომ მათ ერთობლივი საქმიანობის ექვსწლიანი გამოცდილება გააჩნიათ (1985-90 წლებში ვაშინგტონში მწვრთნელისა და ასისტენტის მოვალეობას ასრულებდნენ, შემდეგ ტერიმ ბრაიანი შეცვალა). გარდა ამისა, ტერიმ 1997 წელს ფილადელფია ფინალში გაიყვანა.

სიახლეა ტორონტოშიც. გუნდს ახალი თავკაცი ჰყავს — ცნობილი სპეციალისტი პეტ ქუინი, რომელიც მანამდე 11 სეზონის განმავლობაში გენერალურ მენეჯერობას და მწვრთნელობას ერთმანეთს უთავსებდა. სწორედ მის სახელს უკავშირდება კანადელთა ისტორიაში უდიდესი წარმატება — 1994 წელს თასის ფინალში გასვლა. აღსანიშნავია, რომ ვანკუვერის გენერალურ მენეჯერად თვით ლიგის ყოფილი ვიცეპრეზიდენტი ბრაიან ბურკი დაინიშნა.

### როსატი ტკბილად დაბერდა

ნჰლ-ს ორი ახალი ქვეყნის — შვეიცარიისა და იტალიის წარმომადგენლები შეემატნენ. ედმონტონის მიერ 19 წლის მიხაელ რიზენის კანადაში მიპატიჟება ამ ნიჭიერი ფორვარდის წარმატებების აღიარებად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო იტალიის ნაკრების წევრის, 34 წლის მაიკ როსატის ოლაფ კოლციგის შემცვლელად ვაშინგტონში მიწვევა ნამდვილი სიურპრიზი გახლავთ. თუმცა მაიკი მკვიდრი იტალიელი როდია — იგი კანადაში დაიბადა და ნჰლში მოხვედრის მრავალწლიანი წარუმატებელი ცდის შემდეგღა მიაშურა ისტორიულ სამშობლოს. ახლახან კი ჰოკეისტს, როგორც იქნა, გაუმართლა: ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე კარგი თამაშით მან სკაუტების ყურადღება მიიქცია.

**სამველ ლარიბიანი**